



გაზეთი გაიშალა
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N24 (9168)

31 აპრილი, 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

საჩუქრად “სამსხერიის მაცნეს” 3 ცაში რაიჯა

ნის მოხდა წიგნიტოლის
მეორე ხიში

ახალი სახეხი თვითმმართველობაში

თიქო უნაგლია – თქომ
შეღილა და ასკომსეუნიანი
გკანსის შუღოგლი

“სადაც წყლის პრობლემა არ მოგვარებულა, იქ გზაზე ფიქრი წადგებიან”



2

5



გიჭეზა,
როგლებიც
ყველას
უყვარდა

6



4 “გაზეთი ნომ მოგაქვს?!”

ბარბერები სიჩარის შესაზღუდავად

2



აბთა მთხაშა
ანგუაბ მთხაა

8

8 სექტემბერი ექნაღიხტო სოღიღაშობის საეხთაშოხისო დღა!

“სადაც წყლის პრობლემა არ მოგვარდება, იმ გზაზე ფიქრი ზედმეტი”

ნინო ნაწილაძე

რადღაც თანასოფლელების მთავარი პრობლემით მიიპყრო: “ათეული წლებია, აგვისტო ჩვენს თემში წყალდიდობით გამოირჩევა. ბუნებრივია, ზაფხულის ამ ცხელ პერიოდში სათავე ნაკლებობაში წყლის დონე იკლებს, რაც მოსახლეობაში სასმელი წყლის მიწოდებაში შეფერხებას იწვევს. ჩემი აზრით, სამომავლოდ უნდა მოხდეს სათავეში დამატებითი წყლის შემოდინება, ეგრეთ წოდებული დამატებითი ფეხების მოწყობა. ცნობისათ-

ვი დაზიანებული რეინის მიღები პლასტიკის მილებით შეიცვალოს”.

გომის თემში გამგებლის წარმომადგენლის შენიშვნებს ვალერიანე ფოცხვერიამ თავის მხრივ დაუმატა შენიშვნა და არა მარტო ზაზა ნიკოლეიშვილის, სხვების გასაგონადაც თქვა: “როცა სოფლის მხარდაჭერის პროექტებზე მუშაობა იწყება და პრიორიტეტებს ვარჩევთ, მეტი ყურადღებით უნდა ვიყოთ. როცა სოფელს წყალი არა აქვს და გზას აგებ, მეტი დაფიქრება საჭირო. ჰკითხეთ ხალხს: წყალი ურჩევნია თუ ასფალტი. იქ, სადაც წყლის პრობლემა არ მოგვარდება, გზაზე ფიქრი ზედმეტი”.

გაზიფიცირება დიდი ჯიხაიშლებისათვის კვლავ მთავარ პრობლემად რჩება. ნუგზარ ნუცუბიძემ სერგოელებისა და ყაზბეგების გულისტკივილი ამ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გააუღწია: “მოსახლეობას რომ ბუნებრივი გაზის მიწოდება არ უზრუნველყავთ, ეს ერთია. მეორე და მთავარი ის არის, რომ კომპანია არ გვისახლებს, როდის დაიწყება მშენებლობა”.

ქრის მოსახლეობას, შესაძლებელია, მოსავალი დაუზიანებელი დაურჩეს. საქმე იმაშია, რომ “მდინარე რიონზე, ახალსოფლის ბორანთან ახალი ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით, როცა ახალი ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა, ამან მდინარე რიონის მარცხენა მხარის მოსილვა გამოიწვია. რაც ბორანის ნაპირთან მისვლას ხელს უშლის ახლა იწყება სამშენებლო სამუშაოები, რაც ყანებიდან მოსავლის გამოტან-



ვის, ოფეით და გომი ერთი და იგივე სათავე ნაკლებობიდან მარაგდება, ერთ მაგისტრალზე ვართ დაერთებული. უმჯობესია, მოხდეს გაყოფა.”

ზაზა ნიკოლეიშვილმა იმავე დღეს მაგისტრალის დაზიანებულ მონაკვეთზეც მიიპყრო ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება: “დაალოებით 6-7 კილომეტრიანი მაგისტრალი სერიოზულად არის გაზიარებული, რაც იწვევს წყლის დაღვრას და შესაბამისად, მოსახლეობის უკმაყოფილებას. სასურველი და აუცილებელია, მომავალ-



ას გულისხმობს.

ასეთ პირობებში ბორანის ნორმალურად გადაადგილება შეუძლებელია, დატვირთულ ბორანს კი არა, დაუტვირთავს უჭირს ნაპირამდე გამოსვლა”.

რეზო ივანიძემ ამ ინფორმაციას მოთხოვნა დააყოლა. ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ქრისში გამგებლის წარმომადგენელი დროულ რეაგირებას ითხოვს, შესაბამისმა სამსახურმა სათანადო ზომები მიიღოს, უზრუნველყოს ბორანის ნორმალური გადაადგილება, რათა მოსახლეობა არ დაზარალდეს.

ტერიტორიული ერთეულებიდან მოტანილი პრობლემების გაცნობისა და განაღობების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელი თავის წარმომადგენლებთან მკვლევარად აღსადგენ ტრადიციულ-

ის შემოღების იდეებით შემოვიდა: “გაშეღებმა წყლს მარიამობა აღნიშნეს. მასხოს, სამტრედიის სოფლებში ასევე არსებობდა დღესასწაულები, რაც თემს აცოცხლებდა და ხალხის ჩართულობას იწვევდა. მინდა, სოფლებმა დაიბრუნონ ძველი ღირსშესანიშნავი დღეები. ისე ნუ იზამთ, ამისათვის ყველამ შემოღებამოინდომოთ. შეთანხმდით და დააწესეთ სოფლის დღესასწაულები. სასურველია, დეპუტატებიც ჩართონ ამ საქმეში. ინიციატივით შემოვიდეთ, რომ სექტემბრის შუა რიცხვიდან დაიწყოთ რაიონული ტურნირის ჩატარება ფეხბურთში. მასხოს, სოფლებში კოლმეურნეობები როგორ ეჯიბრებოდნენ და რა ინტერესი იყო. წლებადღეული ტურნირი ტარიელ ჩაჩუას ხსოვნას მიუძღვნათ”.

ბარიერები სიჩქარის შესაზღვრად

რატომაც არის აუცილებელი, ერთი მაგალითი ავერ, გვერდით მიდგას – გვიტხრა ყოფილი გამარჯვების და ახლანდელი თევზაძის ქუჩებში ბონდო ლეჟავამ და სამეფო ხალხზე მივითითა. მას ბევრი ეთანხმებოდა. იქვე ერთ-ერთ მრავალსართულიან სახლში მცხოვრები, ჩვენი თანამშრომელი დიანა ნიკოლეიშვილი ამბობდა, რომ “მჭიდროდ დასახლებული უბანია, საღამოს ეზოებში გამოფენილი ხალხი საფრთხის ქვეშ იყო.” “ბავშვებს თავისუფლად ვერ ვუშვებდით გარეთ.” – კვერს უკრავდა მას ნინო ჩიქობავა. “კარგი იქნება კიდევ ერთი ბარიერი თუ დაემატება.” – ამბობდა სერგო კალინინი.

მას შემდეგ, რაც გზის საფარი მოწესრიგდა, ეს ქუჩა ლამის სადრეფტოად გაიხალდა. როგორც ხდება ხოლმე, ახალგაზრდა მძღოლები ერთობიან გადაჭარბებული სიჩქარის დემონსტრირებით. საგზაო მოძრაობის წესების უგულვებელყოფა და სიჩქარის გადაჭარბება, საპატრულო პოლიციის ინტენსიური ჯარიმების მიუხედავად, განხორციელდა სამტრედიისში. თავისი ჯიხისა ყველამ უკეთ იცის, თუმცა, ადგილობრივმა შესაბამისმა სამსახურებმა სიფრთხილეს თავი არ სტკივარ, და გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების დამონტაჟების ხერხს მიმართეს. თევზაძის ქუჩის გარდა ისინი რობაქიძის ქუჩაზე, საბავშვო ბაღის მახლობლადაც დამონტაჟეს.

თევზაძის ქუჩაზე სამეზობლოდ გადმოსულმა მალხაზ თევზაძემ მანჯგალაძის ქუჩის ისეთივე მოწესრიგების სურვილი გამოთქვა, როგორც თევზაძის ქუჩაა. “განათება არის, თუ გზის საფარიც განახლდება, ჩვენც აღარ გავწვავდებით.” საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მიხეილ ლეჟავამ მას საკითხით დაინტერესება აღუთქვა. რაც შეეხება სიჩქარის შემზღუდავი ბარიერებს, განაცხადა, რომ მათი დაგების ერთ-ერთი მიზეზი მოსახლეობის მოთხოვნაც იყო.



მას განუხანძრავი

რა მოხდა წყაროს მხარე რიხში



“განცხადება მთელი ქუჩის მოსახლეობის სახელით დაწერილი. ძალიან გვაწუხებდა მოწესრიგებული წყალსარეზი არხები. დიდი წვიმების დროს ქუჩაც იტბორებოდა და ეზოებიც. წყალი სახლებში შემოგვიდიოდა. განსაკუთრებით წყაროს მხარე რიხის, წყაროს ქუჩის და მასზე მდებარე ბინის მასახლეობა ზარალდებოდა.” – გვიტხრა აქ მცხოვრებმა ქეთევან ხუჭუაძემ.

ამჯერად წყაროს ქუჩასა და მის მხარე რიხში არსებული არხები კომუნალური სამსახურის მიერ გაიწმინდა. დაახლოებით 10 წლის წინ ამგვარი სამუშაო ჩატარდა ამ ტერიტორიაზე. ბოლო ორი-სამი წელია პრობლემამ ისევ იჩინა თავი.

აქაური მცხოვრებლები შესრულებული სამუშაოთი კმაყოფილები არიან. ჯერ ხელით გაიწმინდა არხები, მერე ტექნიკაც მიაშველეს, – აღნიშნეს. “როგორც შეეძლო, ადგილობრივები ყოველთვის ასუფთავებდნენ მას საკუთარი ეზოების წინ, თუმცა ეს საქმეს ვერ შევლოდა.” – დასძინს ქეთევან ხუჭუაძე. სამუშაოები შესრულების პროცესში მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ თავად მონაწილეობა მიიღო.

არხების გაწმინდასთან ერთად წყაროს მხარე რიხში მცხოვრებლებს ფეხით მოსაარულითა ჩახერგილი ბილიყის ადგილზეც სურთ, რომელიც ამ პატარა რიხს ავტოსადგომთან აკავშირებს. “დამით საშიშვც კია აქ გავლა. “სიძვარი”, გადასასვლელის მოვალეობას რომ ასრულებდა, ჩატყდა და ჩაიხერგა. გამგებელი მის ადგილზეც დაგვიპირდა. ესეც თუ მოწესრიგდა, ამ რიხის მთელი ინფრასტრუქტურა აღდგენილი იქნება.” – აქაურების სახელით კვლავ ქეთევან ხუჭუაძე საუბრობს.

პრობლემამ მოუგვარებელი კი არა, აქამდე მოუნდომებელი გახლდათ. ასეთი შემთხვევები ცოტა არ არის სამტრედიისში. მონდომებაც და, ყველგან ისე მოგვარდება ისინი, როგორც ეს წყაროს მხარე რიხში მოხდა.

მას განუხანძრავი

ომის ვებარანებს მათი ყურადღება

ფაშისტურ გერმანიამ გამარჯვების 70 წლისთავი სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელობამ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეობის ნამდვილად დასამახსოვრებელი ღონისძიებებით აღნიშნა. დაგვირგვინს სამხსოვრო საჩუქრები, ყველა ვეტერანს გადაეცა ოთხას-ოთხასი ლარი და ასი ლარის სხვადასხვაგვარი ტკბილეული. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ და იამზე პანჭკავამ ენერგიული მუშაობით აღებული ვალდებულება პირნათლად შეასრულეს: საზეიმო სხდომის გახსნა, სიტყვით გამოხვ-

ები მხნოუსვლელის დედის ძეგლის ყველაზე უფრო შექმნა, სახლებში საჩუქრების მიტანა გამოყოფილი კომისიის მიერ. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის მიერ გამოგზავნილი იქნა საიუბილეო მედლები, მისალოცი ბარათები და რაც მთავარია, ფულადი ჯილდო – ათასი ლარი თითოეულ ვეტერანზე. ამასთან, ბოთლი ღვინო ბოლოს 70 წლის დასალოცად. დიდი მადლობლები ვართ პრემიერ-მინისტრის და ადგილობრივი

მთავრობის ასეთი ყურადღებისათვის, კარგი იქნება, თუ არც მომავალში მოგვალეებენ ყურადღებას. ძალიან ცოტანი დავრჩით, სულ მუნიციპალიტეტში მეორე მსოფლიო ომის 21 მონაწილეა. სასურველია, პენსიები გავეზარდონ – 2003 წლის მერე, 12 წელია, ერთი ლარი არ მოგვმატებია.

ნაწევნი დაგვრჩა აფხაზეთის, სამჩაბლოსა და 8 აგვისტოს ომის მებრძოლები, იმედია, მომავალი წლის 9 მაისს

მათაც მივაგებთ სათანადო პატივს. რაც შეეხება ვეტერანთა კავშირის მუშაობას, ნორმალურად მიმდინარეობს. გაგვიჩინა სამუშაო ოთახი. სათანადო აუჯი, ასევე, გვაქვს სტენდი ორდენებისათვის და მედლების ნომუშებისათვის. ვაკუუმით ვეტერანთა ადრეცხვას სოფლებისა და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, რომელსაც ჩემი მოადგილე, გამოცდილი მუშაკი, ალექსანდრე ბანძავა აწარმოებს.

მას განუხანძრავი

6060 ნაწილობრივ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 აგვისტოს სხდომა თავმჯდომარე მარია...

იქვე ნუგზარ ჯამბურამ საკრებულოს წევრებს შპს "სამტრედიის მაცნეს" შესახებ სასამართლო ინფორმაცია მიაწ...

ამ განცხადებას საკრებულო აპლოდისმენტებით შეხვდა.

საკრებულოს 27 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იყო: დიდი ჯიხაძის თემში საზოგადოებრივი ცენტრის (სოფლის სახლის) ეზოს შემორაგვის, ასფალტ-ბეტონის გზის მოწყობის და მანქანების სადგომების გაფართოების საპროექტო წინადადებების მოწოდების შესახებ.

27 აგვისტოს საკრებულომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ დიდი ჯიხაძის თემის საზოგადოებრივი ცენტრის კეთილმოწყობის შესახებ მიმდინარე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად შემოსხმებული სამინისტროდან 34 740 ლარი მოითხოვა.

საკრებულომ "სამტრედიის მაცნეს" ცამი დაიწყო

ასევე, მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს ხელმძღვანელობას დიდ ჯიხაძეში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მხარდაჭერისათვის.



ბი, საზოგადოებრივი ცენტრი სხვა დასახლებულ პუნქტებშიც აშენდეს".

დიდი ჯიხაძეში საზოგადოებრივი სახლის მშენებლობას მიესალმა და მხარი აქტიურად დაუჭირა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა. მამუკა ბიბილაძის თქმით, კენჭისყრაში მამუკა ბიბილაძის მოსაზრება: "ნამდვილად მივესალმები აღნიშნულ პროექტს, მხარს ვუჭერ ნებისმიერი სახის, გადაწყვეტილებით იქნება თუ ფიზიკური ფორმით მიღებებს. ვინაიდან იგი ჩვენს მუნიციპალიტეტში კეთდება, მით უმეტეს, ჩემს სოფელში, დიდ ჯიხაძეში. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ეს პროექტი წინა მთავრობის დროს ორ სოფელში - საჯავახოსა და დიდ ჯიხაძეში იყო დაგეგმილი. რომლის განხორციელება მოხდა 2015 წელს, თუმცა ამას არსებითი მხარე არა

აქვს, ვინაიდან კარგი საქმე კეთდება და მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მთავრობის დროსაც მოხდება. თხოვნა მექნება ადგილობრივი ხელმძღვანელობასთან, რომ ყურადღება მიექცეს პროექტის ხარისხიანად შესრულებას. ჩემი ფრაქცია ამას ჩვენი ძალეებით ვაღვეწვით და შედეგზეც აუცილებლად გვექნება ჩვენი შეფასება".

საკრებულოს სხდომის ერთდერთ საკითხს კენჭი უყარეს და აბსოლუტური უმრავლესობით მოხდა მისი დამტკიცება.

მამუკა ბიბილაძის თქმით, სხვადასხვა კოლეგების ყურადღება სამი განცხადებით მი-



ით მიმდინარეობს, რომელიც საყურადღებოა მშენებლობის პროცესებში, ვინაიდან საბოლოო შედეგი იქნება ცუდი, თუ ასეთი სახით მოხდება სამუშაოების გაგრძელება: "მიიღეთ გაფრთხილება, რომ მკაცრი კონტროლი იქნეს სამუშაოთა მხარდაჭერის მიმართ სამუშაოების შესრულებაზე. მეორე საკითხი ეხ-



პრო. პირველი იყო არსების თემა. ფრაქცია, "ნაციონალურის" წევრმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქალაქის ტერიტორიაზე არსების მიმდინარე მშენებლობა სერიოზული ხარვეზებ-

ებობა ჯავახიშვილის ქუჩაზე გადათხრილ გზას. "ორ თვეზე მეტია, ამ ქუჩაზე შესრულდა შიდა კომუნიკაციების სამუშაოები, თუმცა, მშენებლებმა გზა გადათხრილი დატოვეს. შექმნილია საშიშე-

8 სექტემბერი ექსპრესიას სოციალისტების საერთაშორისო დღეა!

ლევან ჯამბურაძე

ადამიანური ღირსებების დაცვისათვის, გამოხატვის უფლებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებებისათვის კაცობრიობა გაცილებით ადრე იბრძოდა, ვიდრე სიტყვა "დემოკრატია", ვასაგები მიწვევების გამო, ყველაზე პოპულარული ტერმინად დაბეჭდილებოდა.

ჯერ კიდევ რკინის ფარდის არსებობის პირობებში საბჭოთა პრობაგანდა ხშირად გვთავაზობდა სატელევიზიო მასალებს, რომლებშიც კაპიტალისტური სამყაროში დაბეჭდილებული უწინააღმდეგარყოფელი, ირაციონალური ადამიანთა უფლებები, შექცეული იყო მათთვის წვდომა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი და ა. შ.

დრო გავიდა, დიდი ხნის გასულია და ნათელი გახდა, რომ სწორედ დემოკრატიულობის კუთხით ყოფილა საქმე ყველაზე ცუდად საბჭოთა კავშირსა და საერთოდ, სოციალისტური ბანაჟის ქვეყნებში. ამასი საკვირველი არაფერი უნდა ყოფილიყო, რამეთუ ერთპარტიულ სისტემაში სხვაგვარი აზროვნება კი საქმარისი იყო საიმისოდ რომ ან "ფისიუსკას" პაციენტი ყოფილიყავი, ან შორეული ციმბირის პაეა იძულებით შეგესუნთქა, ან უცერად დაღუპულიყავი.

როცა "ხალხი ბოიკოტის ხმა მსხვერველს" გაისმა და შეუქცევადი გახდა, რომ ხელისუფლებას მასების აზრი გაეთვალისწინებინა, ყველა კონტინენტზე აღიმადლეს ხმა ადამიანური უფლებებისათვის.

საყოველთაო დეკლარაციებით გამყარდა, დადგინდა და სახელმძღვანელო დაეგზავნათ სახელმწიფოებს ეს საერთაშორისო კანონმდებლობები.

"კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე გადმოდინდება" - ბრძანა სულნათმა წინაპარმა.

ბობოლა და დაღვინებული ჩინოზნიკები საიმოვნებას, ასე თუ ისე, იმით დაეულობდნენ (ნაწილობრივ დღესაც ასეა), რომ გარემოებათა გამო სხვებზე მაღლა დგინენ, სხვებზე მეტი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და არც მეტი, არც ნაკლები ხალხის ბედს განაგებდნენ.

დიდი ხანია, კაცობრიობამ შავი ჭირივით გავრცელებული ფაშიზმი, ფაშისტური იდეოლოგია დაამარცხა, თუმცა იმდენი საშიშროებაა თავის დროზე ფაშისტთა მიერ ჩადენილი, რომ დღემდე დაუვიწყარია მათი ნააკაკარო.

ჩემი ჟურნალისტი ი. ფუზივი, ანტიფაშისტია, ფაშისტური ბოროტების მანქანის მამბილებელი და მემობელი გახლდათ, სწორედ ამიტომ შეიპყრეს და საშინელი, მხეცური წამებით მოკლეს იგი ფაშისტებმა. განაცვიფრა და აღაშფოთა ამ ვანდალურმა აბაშმა საზოგადოება, გადაწყდა, ყოველწლიურად 1958 წლიდან აღნიშნულიყო ჟურნალისტთა სოლიდარობ-

ის საერთაშორისო დღე და სწორედ ი. ფუზივის ხსოვნას მიძღვნიდა იგი, ამაღროულად, შესხენება ყოფილიყო მავანთთვის, იმისა, რომ ჟურნალისტები, შედია,



ამ მიმართულებით რესპონდენტთა აზრიც საინტერესოა.

თამარ უდრელიძე, 60 წლის: ვერ გეტყვით, ჩემი საქმე არაა პოლიტიკა.

ლევან ლევაია, სტუდენტი: - რა გითხრათ, ერთი სიტყვით, შედია თავისუფალია, უამრავი გაზეთი გამოდის, ათასგვარი სატელევიზიო პროექტი კეთდება, მაგრამ "რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ შექმნილი ვითარება, თქვენი აზრით, შედის თავისუფლებებზე მეტეფლებზე? სადავია, რომ ეს ტელევიზია კარგია? თუმცა, ზოგჯერ მართლაც არის ეს კომპანია მხარე, არ ვიცი, ეშმაკმა იცის, რა ხდება ნინამდვილესი.

ოთარ შენგელია, პენსიონერი: - რაც სამსახურიდან გამომდის, ვაზეთი თვალთ არ მინახავს, რა ვიცი შეილო, ფეხებს განათლება მაქვს, სხვებს ჰკითხეთ, განათლებულ ხალხს, ისე ჟურნალისტები ყველაზე შეუზღუდავები არიან, რასაც უნდა იმას ლაპარაკობენ.

ნუნუ თელაია, 62 წლის: - დიას, პრესა უნდა იყოს მართალი, თავისუფალი, ობიექტური, ხალხმა ყველა ინფორმაცია უნდა იცოდეს თუ რა ხდება ქვეყანაში, რაც შეეხება იმას, რამდენად თავისუფალია პრესა, ეს ქვეყანაში ვერ დაუდგენიათ და მე რა ვითხრათ? რაც მთავარია ჟურნალისტები, საერთოდ სხვა პროფესიის ხალხი ნამდვილად თავისუფალია.

მულიყო ან დაწერილიყო სიმართლე. დღეს კი, გადავავლოთ თვალი ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ინტერნეტმედია... იგრძნობა თავისუფლების შეზღუდვა? - მეონი, სულაც არა. რაც შეეხება ჟურნალისტის კალამსა და ენაზე კლიტედადებულობას, ყოველთვის იყენებ მიკრობეზულნი, "ჯიბესგამოყვრებული" მაქებრები "შემდგომთა ამა ქვეყნისათა" და იქნებიან აწიცი.

მანანა სირბილაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა, საპროცედურო და სამხარტო კომისიის თავმჯდომარე: - საქართველოში შედია, ჟურნალისტები მართლაც თავისუფალია და ეს მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთი დასახურებაა. მეტი თავისუფლება, მეტი დემოკრატია, ობიექტურად შეფასებული მოვლენები... ჩემი სურვილია.

თავისუფალია თუ არა შედია, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები... ეს და მრავალი კითხვა ისევე ელის პასუხს არა სიტყვიერად, საქმიანს, საქმიან დამშვენებულს.

მსოფლიოში კი ბუნებრივ კლიმატთან ერთად პოლიტიკურმა ტემპერატურამაც აიწია და სხვადასხვა ქვეყანაში ისევე ხდება მედიასამუშაოების შევიწროება, მედიის წარმომადგენელთა დევნა, ცემა, მკვლელობები. როგორც ყოველთვის ამჯერადაც ხმას იმაღლებს საზოგადოება ყოველგვარი უმსგავსეობის წინააღმდეგ.

8 სექტემბერს ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს მსოფლიო.

გონებაში სულეურთხეული წინაპრის სიტყვები ხშირად უნდა, "მართალი სიტყვა უმომარად მოფინით ხალხში".

მთავარ პაპავა, მხატვარ-კარიკატურისტი: - შენ-ჩემობა საქართველოში ყოველთვის წარმოადგენდა პრობლემას თქ

“გაზეთი რომ მოგაქვს?!”

... ანი ვითამაშებ ტარიელს!

შოთა ჯანაშია

რამდენიმე წლის წინ თბილისი შეუსრულდა. კვლავ მხნედაა, თამაშობს, ახარებს ერთგულ მაყურებელსა და გულშემატკივარს. ლეო ანთაძე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია, იცოდა, რომ ბევრს აგალებდა ეს ტიტული, პასუხისმგებლობას არც არასდროს გაურბოდა. დამსახურებულად ატარებდა მთელ საბჭოეთში ყველაზე ახალგაზრდა დამსახურებული არტისტის წოდებას. წინააღმდეგობათა დაძლევის, საქმის სიყვარულით მიღებულ ყველა ვიდეოს დაუღალავი შრომის შედეგად მიიწვევდა, ასეა დღესაც, ღირებულებები არ გადაფასებულა მის პიროვნებაში. ხალხის სიყვარული სცენაზე დღემდე მოიპოვება. “შე, ბებია, ილია და ილიარიონი!” ეს ისეთ დიდ მსახიობებთან თამაშით დაოსტატდა, როგორებიც სესილია თაყაიშვილი, ალექსანდრე ყორყოლიანი და ვრიგოლ კოსტავა იყვნენ. ვივა ლორთქიფანიძეს დიდი აღიარება მოუტანა ნოდარ დუმბაძის განუმეორებელმა ნაწარმოებმა, გურული კრიმანჭულის ეშხით ნასაზრდოები როლით – “ზურაბული” უბადლო შემსრულებელი მოველინა თეატრს – ლეო ანთაძე.



გრიგოლ კოსტავა, ალექსანდრე ყორყოლიანი, სესილია თაყაიშვილი და ლეო ანთაძე, სცენა “შე, ბებია, ილია და ილიარიონი!”

20 აგვისტოს მას სამტრედიის მასპინძლობდა. საქართველოს ეროვნული ფილარმონიის ინციატივით გამართული შეხვედრა დიდხანს ემანსიფრებდა სამტრედიელს. თავადვე აღნიშნავდნენ საღამოს დასრულების შემდეგ: “როგორ ჰყვარებთ სცენა, მაყურებელი. აშკარად ვგრძნობდით, მსახიობი სახრდობდა იმ ემოციით, რასაც პუბლიკისგან იღებდა.”

“როცა ადამიანი ასაკში შედის, მოგონებები ეძახება. უნებურად, ერთს მეორე მოსდის და განვილი ცხოვრებას იხსენებ. ბავშვობის წლები, ჭაბუკური გატაცებები, გულსტკენა, ბევრიც სიხარული... პატარობისას, მთელ ზაფხულს ქალაქგარეთ, ბებიასთან ერთად ვატარებდი. შესანიშნავ აგარაკზე ვისვენებდით. ახლა ვფიქრობ და გაცურად ვერ ვფარავ, როცა ვიფიქრებ ურთიერთობას კონსტანტინე გამსახურდიასთან, გოგლა ლეონიძესთან, ლეო ქიანელთან, აკაკი ბელიაშვილთან, დემან შენგელიასთან, ალექსანდრე აბაშიძესთან, პოლიგარპე კაკაბაძესთან...” – მსახიობმა თხრობა დაიწყო და უცერად თეატრის იდუმალ სამყაროში აღმოჩნდა.

ჩვენს წინაშე მონოსპექტაკლი გათამაშდა. გენიოსიც რომ იყოს შემსრულებელი, წარმოდგენაში ის მხოლოდ ერთ ადამიანს ასახიერებს. ამიტომ, ის მულამ ნაწილია სპექტაკლისა, განსხვავებული ზომისა და მნიშვნელობის. მწერლის მიერ ერთხელ დაწერილი როლის საშუალებით, არტისტი განსხვავებულ სასცენო სახეებს ჰქმნის, მაყურებელს ტექსტს კი არ უკითხავს, არამედ ახორციელებს დაწერილ როლს.

კოლორიტული იმერული ეპიზოდები, ზანდარევი ყოველდღიურობა, ყოფა ხვალისდელის მოლოდინში... ერთმანეთს ენაცვლებოდა სუვეტები.

სიტყვა მსახიობის იარაღია, სხვადასხვა სახის, სიძლიერის, ფორმისა და ფერადობის, მაგრამ უთუოდ იარაღი. მისი იბრძვის იგი ხან ხმაბაღლა, აშკარა თავგანწირვით, ხან დიპლომატიის სიღინჯით, წინდახედული სიტყვებით, რათა დასახული მიზანი პრაქტიკულად განახორციელოს. იმ დღეს, აპლოდისმენტები ცდის გამართლებაში გეარწმუნებდნენ.

მსახიობის ხელოვნებაში უმთავრესად ხასიათის შექმნა აღიარებულია. შექმნა ხასიათი – ნიშნავს, მიაგნო შინაგან და გარეგულ თვისებათა იმ განუმეორებელ შენაერთს, რომელიც ერთ ადამიანს მორისაგან განასხვავებს. ამ თვისებათა შორის შეიძლება იყოს როგორც მონათესავე, ისე საპირისპირო ელემენტები. ამავე დროს, უადრესად როულ და მრავალწახნაგოვან ხასიათშიც კი – თვისებათა შორის რომელიღაც წამყვანია.

უცქერდნენ თმაჭალარა მსახიობს, ის არ ჰგავდა მოძველებული პატეიით მთრობელ პერიოკულ გმირს. უშუალობა – გასაღები იყო მაყურებელთა გულგებაში მიმავალი გზის კარისა. ლეო ანთაძეში ზოგიერთმა “სანში” ამოიცნო გახმაურებული თეატრალური დადგმადან, სერიულ “ჩემი ცოლის დაქალების” “ჯემალიც” ბუერისთვის აღმოჩნდა ახლობელი.

“ბავშვობაში, შევიგრძენი, თუ არა

სცენის მტკერი, “ვეფხისტყაოსნის” “ტარიელის” სახეზე დავიწყე ფიქრი. ვცდილობდი დავმსგავსებოდი ლიტერტურულ პერსონაჟს, მიმება მისთვის. ალბათ,



შემამჩნიეს კიდეც და “ნესტანიც” გამომიძენეს. კოცნის ეპიზოდზე რომ მიდგა საქმე, “ყურაწითლებული დამპირის” “სატროფოს”. წლები გავიდა, მსახიობი გავხდი, სანუკარი როლი კი აუხდენელ ოცნებად დამრჩა... არაუშავს, ცხოვრება წინაა, აწი ვითამაშებ ტარიელს!”

სიყვარულით გადარეულმა “ზურაბული” მთვარიანი დამის სევედა ხელახლა გვაგრძობინა. რამდენჯერმე ააზნაურა ტაშმა დარბაზი, მსახიობი ბოლომდე დაიხარჯა...

პარტერში მჯდომს არ ველოდით და მოულოდნელ სიხარულად გვექცა ბატონი დავით კვიციანიას ხილვა სამტრედიელს.

– ლეო ანთაძე, არაპირდაპირი მნიშვნელობით, პედაგოგია ჩემი. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მის მიერ ნათამაშები როლები, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს, გაკვეთილი იყო დამწვები მსახიობებისთვის. მისი პლასტიკა, გადმოცემის მომწესხველი უნარი, არტისტიზმი... ჰქმნის უნაყოფო ეფექტს. ცალკე თემაა, ვივა ლორთქიფანიძის მიერ რუსთაველი დაარსებული თეატრის წარმატებულობაში ბატონი ლეოს შეტანილი ღონისძიება. დღეს მან ერთი მანჯგალადის ქალაქში ითამაშა, მაღლობა ორგანიზატორებს, ვინც კიდე ერთხელ მოგვანიჭა ბენდიერება სახალხო არტისტის სცენაზე ხილვისა. – აღნიშნა ბატონმა დავითმა.

“სამტრედიის მაცნესთან” საუბრისას ბატონმა ლეომ განაცხადა: “ამ ქალაქში ხშირად დავდიოდით საგასტროლოდ. მახსოვს, საზაფხულო თეატრში ვითამაშებდით. ვიგრძენი, რომ მაყურებლის ინტერესი გაუნელებელია. ჩემი უმთავრესი ამოცანაა – არავინ გავაწიბოლო. მსახიობის შემოქმედება მუდამ თეატრთანაა დაკავშირებული. რეპერტუარს ბევრი რამ განაპირობებს – დრო, ეპოქის წამყვანი ტენდენციები, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი თვალთახევა.

როლზე მუშაობა, რადგან იგი ახალი მხატვრული ნაწარმოების შექმნას

გულისხმობს, უმთავრესად, წარმოსახვის მუშაობაა. ეს პროცესი ხელოვანის მთელ არსებას მოიცავს, ამიტომ, გონებრივად, გარკვეული თვალსაზრისით ფიზიკურად და ემოციურად, რაც შემქმნელ ვეცადე, თავი არ დამიზოგავს, კრიტიკულად ნუ განმსჯი.

მაღლიერების გრძნობით მივესალმები თქვენს რედაქციას, ვნახე გაზეთი, ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით კი იმან გამახარა, რომ ჩემი ვარსკვლავის გახსნას გამოხმაურებხართ, გიწვინებთ ხალხისთვის... მსახიობისთვის ამაზე მეტი ბენდიერება რა უნდა იყოს?!”

ლადო ხელაშვილი, საქართველოს ეროვნული ფილარმონიის დირექტორი: “უკვე მოვიარეთ სახეობა, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი... იმერეთში, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ყოველ მოქმედებაში იგრძნობა – უყვართ ხელოვნება, პატივს სცემენ ჭეშმარიტ შემოქმედებას. რომ არა მხარის გუბერნატორები, ჩვენი შეხვედრები ვერ შედგებოდა. გივი ჭიჭინაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის საქმის ხორცშესხმაში. მაღლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, კულტურის სამსახურსა და პირადად გამგებებს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას. მომავალ შეხვედრაზე სამტრედიელს!”

P. S.
“გაზეთი რომ მოგაქვს?!” – ეს ღაზაპოლოზბაძე იამითა სახალხო არტისტმა. რეპერტუარს კონსტანტინე გამსახურდიასთან; თხრობას არ მისწავლი, რეპერტუარს კონსტანტინე გამსახურდიასთან. მ. ჯ.

საჯარო სკოლებში სწავლა 14 სექტემბერს დაიწყება!

გვითხულობთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში 46 660 მოსწავლე რეგისტრირებულია. სექტემბრიდან მასწავლებელთა საბაზო ხელფასი 50 ლარით მოიმატებს, ე. ი. თუ 305 ლარი იყო, გახდება 355. აპრილში კვლავ 50 ლარით გაიზარდა და 405 ლარი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროპორციულად გაიზარდა საშუალო ხელფასიც.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში წელს 28 053 სტუდენტი ისწავლის, მათგან 10 000 სახელმწიფო დაფინანსებით დაეფუძლება მეცნიერების საფუძვლებს.

წარმატებებს ვუსურვებთ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებს ახალ 2015-2016 სასწავლო წელს!

ლევან ბაქრაძე

თანადგომა

ამ დღეებში ააიბ “ინვესტიციებისა და პუმანიტარული პროექტების გაერთიანებამ” სამტრედიელ უნარშენულ სოციალურ და-უცვლელ ტანსაცმლისა და საყვები პროდუქტების ამანათები გადასცა. მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ სამსახურში მამინძე ვედი, როცა ამანათებს სათნოების სახლში, დღის ცენტრსა და სოციალურ დაუცველთა ოჯახებში გზავნიდნენ.

არავისგან ესწავლება ქართველ კაცს მოძმეთა თანადგომა.

ლევან ბაქრაძე

გერმანია უნებანის პიზის გაუმეობას აპირებს

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მუხერმა განაცხადა, რომ ქვეყანამ შესაძლოა, შენგენის ზონაში მოქალაქეების თავისუფლად გადაადგილებაზე მიგრანტების დიდი ოდენობის გამო თანხმობა გააუქმოს.

გერმანიამ გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომ შენგენის ზონა, რომელიც ადამიანებს ევროპის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას აძლევს, “ვერ იარსებებს”, თუ ევროკავშირის სხვა ქვეყნები დევნილებს თავისთან არ მიიღებენ.

მე თავისუფალი გადაადგილების მომხრე ვარ, მაგრამ თუ სხვა ევროპული სახელმწიფოები კანონს არ ითვალისწინებენ, ხოლო დუბლინის სისტემა აღარ მუშაობს, მაშინ ჩვენ სხვა სისტემა გვჭირდება, რომელიც იმუშავებს. შეუძლებელია გადაადგილება ვერ იარსებებს ხანგრძლივ პერსპექტივაში ევროპის ქვეყნების მხრიდან დევნილებისთვის თავშესაფრის შეთავაზების რეალური პოლიტიკის გარეშე”, – განაცხადა ტომას დე მუხერმა.

დე მუხერმა ბრიტანეთის მეტი მიგრანტების მიღებისკენ მოუწოდა. “რასაკვირველია, ბრიტანეთის განსაკუთრებული როლი აქვს, ის ხომ შენგენის შეთანხმებაში არ მონაწილეობს. თუმცა ევროკავშირის ყველა ქვეყანა ვალდებულია, მეტი ყურადღება დაუთმოს საკუთარი მოვალეობების შესრულებას”, – თქვა მინისტრმა.

წელს გერმანიაში დაახლოებით 800 000 მითხოვნა შესული თავშესაფრის გამოყოფის თაობაზე, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ევროპული ქვეყნების შემთხვევაში. ევროკავშირის ჩინოვნიკები შექმნილ სიტუაციას საკვალალო კრიზისად მიიჩნევენ, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა.

ბრიტანეთშია bbc.com-ს მიხედვით



ახალი სახეა თვითმართველობა

ლევან გაბუნია

ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რა-
ინის, მუნიციპალიტეტის თვით-
მართველობაში პროფესიით ექი-
მს რაიძე პოლიციაზე ებრძოდა.
მიმდინარე წლის 8 ივლისიდან
მუნიციპალიტეტის გამგეობის
ჯანმრთელობისა და სოციალურ-
ი დახმავის სამსახურში მუშაობა
რუსიდან კვანტალიანმა მას შემ-
დეგ დაიწყო, რაც წარმატებით
გაიარა საჯარო მოხელეთათვის
აუცილებელი კონკურსი.
დაიბადა 1979 წელს, დაამთო-
რა თბილისის სახელმწიფო სამე-
დიცინო უნივერსიტეტის პედაგ-
გიური ფაკულტეტი, რუსიდან-
ტურა, სპეციალობით სამედიცინო
რადიოლოგია.
2011-2014 წლებში მუშაობდა ექიმ

რენტგენოლოგად.
“სამტრედიის მაცნე” რამდე-
ნიმე კითხვით მიმართა მას.

– გიფიქრიათ, ოდესმე თვითმარ-
თველობის საჯარო მოხელე რომ
იქნებოდით?
– არა, ნამდვილად არ მიფიქრია,
სურვილი მქონდა, ადამიანებს რამდენა-
დმე მინც დაეხმარებოდი ჯანმრთელო-
ბასთან დაკავშირებული პრობლემების გა-
დაწვევაში. ვფიქრობ, დღევანდელი ჩე-
მი სამსახური ნამდვილად მაძლევს ამის
საუკეთესო საშუალებას.
– სოციალურ სამსახურს გასაკე-
ბი მიხედავს გამო ყოველდღე ბევრი
ადამიანი სტუმრობს, ამ სამსახურში
ჯანდაცვის საკითხებში სპეციალის-
ტის პოზიციაზე მუშაობთ, აწყდებით
ზოლმე სირთულეებს?
– მეტ-ნაკლებად ყველა სამსახურს
ახლავს სირთულე, ვცდილობ, ჩემი შე-
საძლებლობები მათი დაძლევისთვის გა-
მივიყენო.

– დღეს ბევრს, ხშირად საუბრო-
ბენ გენდერულ თანასწორობაზე, რო-
გორ შეაფასებთ საქართველოში ამ
მხრივ არსებულ ვითარებას?
– ძირითადად ამ კუთხით ქვეყანაში
ნორმალური ვითარებაა, არაფერია იმ-
ა სქესის გამო.
– ყველა დროის გამოჩენილ ქარ-
თველ პოლიტიკოსად ვის მიიჩნევთ?
– თავს შევიკავებ და შევინებულად
ვერავის პოლიტიკურ საქმიანობას ვერ
შევაფასებ.
– ჩემი აზრით, ყველა დროის დიდი
ადამიანი, დიდი ქართველი ექვთიმე თა-
ყაიშვილია, რომელიც ეკლესიამ წმინდ-
ანად შერაცხა.
– საყვარელი მწერალი, ლიტერატ-
ურული ნაწარმოები.
– ოთარ ჭილაძე, “გზაზე ერთი კაცი
მიდიოდა”.
– საყვარელი კინოგმირი.
– სესილია თაყაიშვილი, ჯეკ ნიკოლს-
ონი, კოლინ ფერტი...
– რომელი ჟანრის ლიტერატურ-
ას ეცნობით?



– ძირითადად სამედიცინოს.
– სურვილი?
– მინდა მეტი თავისუფალი დრო,
მაღალი ხელფასი მქონდეს, ვიმოგზაუ-
რო, მეტი ვნახო და გავიყო, ვაკეთო
საყვარელი საქმე, ერთი სიტყვით, არ
მინდა დროს ჩამოვრჩე.
– ჩვენი საუბრის მიზანს შეადგე-
ნს გაგიცნოთ მკითხველმა და შეიტყ-
ოს რასთან დაკავშირებით მოგმართ-
ონ, თქვენს ძირითად მოვალეობას რა
შეადგენს სამსახურში?

– სამედიცინო დაწესებულებებთან
ურთიერთობა, ჯანდაცვის პროგრამების
განხორციელება ჩემი მოვალეობაა.
– სოციალური სამსახურის თანა-
მშრომლებს ნამდვილად ვერაფერს და-
სწამებს გულგრილობას, მაგრამ ჩვე-
ნი აზრით, პროფესიონალი მედიკოსი
უფრო სიღრმისეულად განუმარტავს
მოქალაქეებს მთავრობისა და სადაზ-
ღვევო კომპანიების მიერ შეთავაზე-
ბული პროგრამების უპირატესობას,
რაც საბოლოოდ მოქალაქეებისადმი
უკეთ მომსახურებით იქნება გამოხა-
ტული.
როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში კვ-
ლავ შენარჩუნებული რთული ეკონ-
ომიკური და ფოფითი პირობების ფო-
ნზე, ამ სამსახურში, სხვებთან შედ-
არებით მოსახლეობის მომართვიან-
ობა გაცილებით მაღალია.
წარმატებებს ვუსურვებთ რუსუ-
დან კვანტალიანს.
გაწამს, მისი საქმიანობა მალე მო-
გვცემს იმის თქმის საბაბს, რომ მი-
სი სახით, მუნიციპალიტეტის თვით-
მართველობას კიდევ ერთი ღირსე-
ული კადრი შეემატა.

თიკო შენაგლიძე – ოქროს ხელისა და ასპროსმენსიანი გზანთის მოძრაობა

6060 ნაბიჯი

როგორც ჩვენმა უმცროსმა კოლეგ-
ამ თქვა, თიკო შენაგლიძის შედეგები მო-
ულოდნელი არავისთვის ყოფილა. შოთ-
იკო პაპავა მასთან ერთად ინგლისურ
ენაში ემზადებოდა: “შე და თიკო, პედა-
გოგ ნინო სტურუასთან, ერთად ვემზად-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების ფა-
კულტეტზე 100 პროცენტითაა გრანტით
ჩარიცხვას გულისხმობდა. შოთიკო პაპ-
ავამ ეს შეფასება ჩვენთან საუბარში მა-
შინ გააკეთა, როცა სოციალური ქსელ-

თო მეგობარი, ბენდიერი მამა, რადი შე-
ნაგლიძე თავის Facebook გვერდზე სის-
ტემატურად აქვეყნებდა ქალიშვილის სა-
სკოლო შედეგებს. მისგან ეტაპობრივად
ვიტყობდით, რომ საატესტაციო გამოც-
დების საგნებში თიკო თითქმის 10-იანე-
ბს ღებულობდა, რითაც გოგონა კერძო
სკოლის დირექციის გადაწყვეტილებას
ამართლებდა.

შსს “ცოდნა” თინათინ შენაგლიძემ
ოქროს მედალზე დაამთავრა. მომავალი
პროფესიის არჩევას, მართალია, ახ-
ლობებიდან რჩევებს იღებდა, თუმცა,
გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიი-
ღო: “ჯერ კიდევ დაბალ კლასებში ვს-
წავლობდი, როცა უკვე დაბეჯითებით
ვიცოდი, რომ ბიზნესმენის ან ეკონომი-
კისტის პროფესიას ავირჩევდი. როცა
ჩაუღრმავდი პროფესიებს, უპირატესო-
ბა ბიზნესის ადმინისტრირებას მივანი-
ჭე. დავერეგისტრირდი ეროვნულ გამო-
ცდებში და პრიორიტეტად ივანე ჯავახ-
იშვილის სახელობის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტი ავირჩიე”.

თინათინ შენაგლიძემ ეროვნული გამ-
ოცდები ოთხ საგანში ჩააბარა, არჩევი-
თი მათემატიკა იყო. როგორც გვიამბო-
ბს, ოთხივე გამოცდიდან მეტ-ნაკლებად
კმაყოფილი გამოვიდა და პრობლემის გა-
კეთებაც უჭირდა. უფრო კმაყოფილი ზო-
გადი უნარებიდან და უცხო ენიდან გამ-



ოვიდა. ქულებიც ასევე დამაკმაყოფილ-
ებელი გამოდგა. ზოგად უნარებში მაქს-
იმალური 80 ქულიდან 71 ქულა მიიღო,

ეტზე 360 სტუდენტთან რეიტინგით მე-
11 ადგილზეა.
თიკო რადი შენაგლიძისა და ნინო ნა-
ვერიანის მეორე შვი-
ლია. მშობლები გო-
გონას თავისი წარმა-
ტებებით პატარაობი-
დანვე განებივრებული
ჰყავდა. სასკოლო ერ-
ოვნულ ოლიმპიადებ-
ში, კერძოდ, მათემა-
ტიკაში, ქართულსა და
ინგლისურ ენაში მო-
ნაწილეობას ღებულ-
ობდა და მესამე ტუ-
რში ტრადიციულად
გადადიოდა.



ინგლისურ ენაში 100-დან – 95. ქართ-
ულ ენასა და ლიტერატურაში მაქსიმალ-
ური 80-დან 75 ქულა აიღო, მათემა-
ტიკაში 59-დან 47. ამ ქულათა რაოდენ-
ობა საკმარისი აღმოჩნდა თინათინ შენ-
აგლიძე ეროვნული საგამოცდო ცენტრის
შეფასებით მისთვის პრიორიტეტულ უმ-
აღლეს სასწავლებელში 100 პროცენტ-
იანი სახელმწიფო დაფინანსებით ჩარი-
ცხულიყო. უკვე გაირკვა, რომ ფაკულტ-

ქართულ-ხალხურ ცეკვებზე დადიოდა.
თიკო შენაგლიძის ოჯახში ამ დღეებ-
ში მილოცვები არ წყდებოდა, წარმატე-
ბული სტუდენტობის დაწყებას გოგონას
და მის მშობლებს სოციალურ ქსელში
უამრავი ადამიანი ულოცავს. როგორც
თიკო თავად აღიარებს, ყველაზე მეტად
მისმა მოწოდებამ უფროსი ძმა, ზურა გა-
ახარა.
სწავლა 14 სექტემბერს ეწყება.



ეობდით. მისი გაცნობისთანავე ჩვენთ-
ვის ცხადი იყო ის შედეგები, რასაც თი-
კო მიადგენდა.
გაზეთ “სამტრედიის მაცნე” ყველ-
ანზე უმცროსი თანამშრომელი თიკო შე-
ნაგლიძის ივანე ჯავახიშვილის სახელო-

თი თინათინ შენაგლიძის ჩარიცხვის ამბ-
ავი გაიგო.
სოციალური ქსელებით სამტრედი-
ულმა მედიამ უფრო ადრე თიკოს სკო-
ლის ასევე განსაკუთრებული წარმატე-
ბებით დამთავრება შეიტყო. ჩვენი საერ-

ვის ვედავებით, ხვსთავებს?

საინტერესო ეპოქაში რომ გვიწევს ცხოვრება, უდავოა, დღეს, როცა “ლიტერატურული შედეგები უნიტა-
ზზეც მშვენივრად იქნება”, საოცარი და საკვირველი თითქოს არაფერი უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილად ვერ
დავფარეთ გაცივება, როცა ქალაქში, ერთ-ერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადზე გრძნობ-
ამორეული ახალგაზრდის “შემოქმედება” ვიხილეთ.
“ნუ ელოდები ფიროსმანის მილიონ ვარდებს, თუ გინდა ერთმიც აღმოაჩენ გრძნობების ქარცეცხლს.
– კითხულობთ ერთგან.
“ისეთს უსმენენ, რაღას იმდერებს მეფე?”
– ეს სიტყვები მეორე კორპუსს ამშვენებს, ათიოდე მეტრს თუ გაივლით, სათვალე ნამდვილად არაა საჭირო,
ისე შეიძლება წაიფიქროს: “ოჰ არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე”.
მრავალად შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც.
სამივე შემთხვევაში სიტყვები ვეებერთელა (სარეკლამო) ასოებითაა შესრულებული.
მამამედიური რჩევა გვინდა მივცეთ ახალგაზრდებს, საყოველთაო სიღუბნის მიუხედავად რედაქციაში
ნამდვილად არ დაგაძლიან 10-15 ფურცელს საიმისოდ, რომ თქვენს გულისსწორს ფიქრები გაუზიაროთ.
წარმოიდგინეთ, როგორ “დამშვენდება” ქალაქი ყველამ საკუთარი დარდი, ტკივილი, სიხარული ამ ფორმით რომ
გამოხატოს.
სიყვარულს მალვა უნდაო, ბრძანა სულმნათმა შოთა რუსთაველმა.
ვის ვედავებით, რუსთაველს?

ლევან გაბუნია

ბიჭებზე, როგორც ყველას უყვარდა

თბილისელი

სამოქალაქო ომი ტკივილიანი და დამაფიქრებელი ფურცელია საქართველოს უახლეს იტორიაში. ახრთა სხვადასხვაობა მის ირგვლივ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო თემა ყოველი სიტყვის დაწერისას. მაინც ვაგინსენეთ იმ დროის მოვლენები, მით უმეტეს, რომ სამტრედიის მამინ ეპიცენტრი იყო შეცდომების და დამაფიქრებელი გმირული მაგალითებისა. არაერთი სამტრედიელი სამშობლოსთვის იბრძოდა ვაჟკაციური ჟინით და რუდუნებით და მისთვის სიკვდილი ვმეობდა ექცათ.

ასე იყო ამ შემთხვევაშიც. ამიტომაც ვადავწყვიტეთ ორი სამტრედიელი ბიჭის, დათო ვაშაიძის და და ლადო ქუთათელაძის

გახსენება. მათზე პირველად დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა, მათმა უფროსმა მეგობარმა, თამაზ ნუცუბიძემ გვიამბო. ყველა, ვინც იცნობდა და ისინიც, ვინც ვადმოცემით იცის მათ შესახებ, ხაზს უსვამს დათო ვაშაიძისა და ლადო ქუთათელაძის ზედმიწევნით პატიოსნებას და სამშობლოსთვის თავდადებას. “იგი ძალიან განათლებული ადამიანი იყო, საკუთარ სამშობლოზე შეყვარებული. რომ არ მომკვდარიყო, ბევრ შეცდომას აიცილებდა თავიდან მხედრობის.” — ამბობს მასზე მამუკა ბიბილეიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, კომპაგზირის მდივანი გახლდათ მამინ, როცა დათო ვაშაიძე მის მშობლიურ სკოლაში მასწავლებლობდა. ისინიც, როგორც აიყოლია ახალგაზრდა მასწავლებელმა ისინი სამშობლოს ანდობურად შესაცვარებლად. მას ლადო ქუთათელაძეც ახსოვს, “სიცოცხლით სავსე დიდ ჯიხაიშელი ბიჭი, კეთილსინდისიერების და ღირსების მაგალითი. იყო იქ, სადაც მისი მეგობრები იყვნენ. მას სხვანაირად არ შეეძლო.” მამუკა ბიბილეიშვილის მსგავსად ივონებს ბევრი მათ და ამიტომ მათ შესახებ ჩვენი ვაზეთის ფურცლებით ვგინდა ვიამბოთ. ვინც იცნობდა ვაგახსენოთ და ვაგაცნოთ მათ, ვინც არაფერი იცის ამ ორ მეგობარზე, მათ გრძობებზე, დამოკიდებულებაზე იმ მოვლენების მიმართ, დღემდე განსჯის საგანი რომ არის ქართველი საზოგადოებისთვის.



მარჯვნიდან: დათო ვაშაიძე, თამაზ ნუცუბიძე და ლადო ქუთათელაძე

დიდი ტრაგედია დატრიალდა. მიუვლი საქართველო შესძრა და ამაზე ახლა, ამ წერილში კიდევ და კიდევ ვინ მოსთვლის მერამდენედ, ნულარ ვილაპარაკებთ.

გაგრის დაცემიდან მალევე ისევ შევირბა ბატალიონი ოჩაძირეში გამაგზავრებლად. ოჩაძირეში მასთან ერთად ილორელი ბიჭი, ზურაბ შავლიძე იბრძოდა, დედისურთა, რომელიც გარდაიცვალა და დიდი ძალი-სხმევა დასჭირდა, ტყვიების წვიმაში დედისთვის ჩამოყვინებიათ. ეს საქმე დათო ვაშაიძემ ითავა და დიდი რისკის ფასად შეასრულა კიდევ. მის ნეშტს თავად ჩამოჰყვა მშობლიურ სოფელში. “ერთი გენახათ, რა გაუბედურებელი იყო სახლში რომ

ვახდა, საქმე, რომლის სიმართლისაც სჯეროდა!

თუთრი დროშით ზვიადისტებთან მოსლაპარაკებლად ცხენისწყლის ხილთან გაუშვეს დათო ვაშაიძე. ეს უკვე ის პერიოდი, სამეგრელოში დაბრუნებული ზვიად გამსახურდიას თანამოაზრეები სამტრედიამდე რომ მოვიდნენ, მერე ქალაქშიც შემოვიდნენ და აიღეს იგი. სამთავრობო ჯარი, რომლის შემადგენლობაში მხედრონიც იყო, ქუთაისში დაბანაკდა.

შუათანა დის, თამარის დარდი ჰქონდა, ზვიადისტებისგან აღებულ სამტრედიის ეკლესიაში ეკლესიაში ერთად იყო სიძე, სოსო რუხაძეც. ეროვნული მოძრაობის დროს დის და სიძის ოჯახი აქტიურობდა გამსახურდიას მხარდასაჭერად. შემდეგ არასწორმა პოლიტიკამ და ლიდერებს შორის დაპირისპირებამ მომხრეები ორ გუნდად რომ გაჰყო, სოსო და თამარი დათო ვაშაიძის და მისი თანამოაზრეების გვერდით აღმოჩნდნენ. ამიტომ ზვიადისტებს იწებ განსაკუთრებული ინტერესი უარყოფითად გამოეჩინათ მისი ოჯახის მიმართ. მანქანით, რომელსაც სიძე, სოსო რუხაძე მართავდა, დათო ვაშაიძემ უმცროს მეგობარ და თანამებრძოლ ლადო ქუთათელაძესა და ბენო სანებლიძესთან ერთად სამტრედიის შესვლა გადაწყვიტა. გადასასვლელად ხილთან მისვლას იქვე რეინიგზის რელსებზე მდგარი ვაგონებიდან ესროლეს. გაქცევა მოახერხეს, მაგრამ ლადო დაიჭრა. მისი “მიშველეთ” განსაკუთრებით ძნელი მოსასმენი იყო დათოსთვის, რადგან ეს ის ლადო გახლდათ, მისი უმცროსი მეგობარი, ნამოწავარი, რომელმაც დათოს სიყვარულის გამო აიღო იარაღი ხელში. მას 37 ტყვია ჰქონდა ნასროლი. აღარაფერი ეშველებოდა. დათოს სხვანაირად არ შეეძლო და სწორედ მამინ მოხდა ერთადერთი და საბედისწერო ტყვია, უკვე დაჭრილი მეგობარი შემთხვევის ადგილიდან რომ უნდა გამოეყვანა. თავდაპირველად ზვიადისტების მოკლული ეგონათ ისინი. მერე გაირკვა, რომ ვაგონებში მოხდა, ვაგონებში სამთავრობო არმიის მებრძოლები იყვნენ.

მოკვდა ნაბოლარა ბიჭი, ოჯახის ბურჯი და იმედი. მოკვდა დათო ვაშაიძე და თან გაიყოლა ერთი გოგონის სიყვარული, ქვეყნისა და დედამისის დარდი და გამზრდელი დების მონატრება. ვაგონებში მოკვდა, ალბათ მარტო საქართველოში შეი

დათო

ალბათ, სხვანაირად არც შეეძლო ბიჭს, რომლის ნათლიაც თემურ ნუცუბიძე იყო. ეროვნულ მოძრაობ-



აში 1988 წლიდან ჩაება. ზვიად გამსახურდიასთან მისი ნაცნობობა სწორედ მისი მეშვეობით მოხდა. სამსახურში, ლიტერატურის ინსტიტუტში ხშირად აკითხავდა ნათლული ნათლიას. ზვიად გამსახურდია და თემურ ნუცუბიძე ერთ ოთახში უსხდნენ თურმე საწერ მაგიდას. ფილოლოგიურზე სწავლობდა. მანამდე სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხდა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში. პარალელურად წუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა დაუსწრებლად. სამშობლოში დაბრუნებულმა, ჩემი მოწოდება ფილოლოგობააო, აიკვიატა და სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. საკუთარ სკოლაში საათები მიცევს. მასწავლებლობდა. მასწავლებლობდა და სამშობლოს სიყვარულს მამინდელი რეჟიმისგან განსხვავებულად ასწავლიდა მოსწავლეებს. იგი დათო ვაშაიძე გახლდათ, დიდ ჯიხაიშელი პავლე ვაშაიძის ვაჟი, რომლის მთელი ოჯახიც ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო, მეტადრე უმცროსი ვაჟის წყალობითაც. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობა დათომ ჩამოიტანა სამტრედიისში. პირველი დიდი მიტინგი, დიდ

ჯიხაიშში სწორედ მისი თაოსნობით ჩატარდა. მას ეროვნული მოძრაობის დიდი ხნის წევრი, ზვიად მიდიგური შეუერთდა თავისი თანამოაზრეებით. ეროვნული ფრონტი ასე დაარსეს მშობლიურ ქალაქში. ეს ის დრო იყო, ჯერ კიდევ წარმოუდგენელი რომ ეგონა საზოგადოებას ლენინის ძეგლის ჩამოგდება. ძველი რაიონის წინ ეს საქმე მძებ ვაშაიძეებთან, ზაქრო კაჭახიძესთან და მის ძმებთან ერთად დათო ვაშაიძემ “მოაგვარა.” თბილისში გამართულ არც ერთ მიტინგს არ ტოვებდა. წავიღოდა, დაესწრებოდა და ღამით დაბრუნებული დილით გაკვეთილს ატარებდა. 9 აპრილსაც მთავრობის სახლთან იყო, მაგრამ სასწრაფოდ სამტრედიისში მოუხდა დაბრუნება და... იმ ჯოჯოხეთურ ღამეს ასცდა.

დათო პავლე ვაშაიძის ნაბოლარა ვაჟი იყო, ორი უფროსი დის ნებეირა. როგორც ხდება ხოლმე საქართველოში, ოჯახისთვის განსაკუთრებით საყვარელი. დიდი ჯიხაიშის სამუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ოჯახი პატივისცემას იმსახურებდა თანასოფლელებში. უფროსი ქალიშვილები, ნათელა და თამარი ტყუპები გახლდათ. ნათელა, ფარმაცევტია, თამარი იმავე სკოლაში გერმანულ ენას ასწავლიდა. პროფესიით პედაგოგი მეუღლე, თინა გვიშიანი სკოლის ბიბლიოთეკარი იყო. ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმისთანავე საბჭოთა უშიშროება განსაკუთრებულ ყურადღებას იჩინდა ვაშაიძეების მიმართ, მაგრამ ვერც ამან გადააფიქრებინა მათ ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. სამშობლოს სჭირდება და აბა, როგორ იქნებოდა მამამ არ შეაჩერა ნაბოლარა ვაჟი, არც მამინ, ეროვნული მოძრაობა ორად რომ გაიყო და საქმე იარაღის ხელში აღებამდე მივიდა.

და სანამ საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო, მამა მას ესროდა და ქვეყანა ზვიადისტებად და მხედრონიელებად დაიყოფოდა, მოვლენები ასე განვითარდა: ახრთა სხვაობა თავად ეროვნული მოძრაობის ლიდერებს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შორის იყო. მათი აზრი გაიყო ორად. გამსახურდია და მისი თანამოაზრეები დაკარ-

გული აფხაზეთის მოლაპარაკებების გზით, ანუ უომრად დაბრუნების მომხრენი იყვნენ, კოსტავა და მისი თანამოაზრეები კი თვლიდნენ, რომ იარაღით დაკარგული კვლავ იარაღს უნდა დაებრუნებია. დათო ვაშაიძე კოსტავას ეთანხმებოდა. ჯაბა იოსელიანიმ მამინ მხედრონი შექმნა, რომლის ირგვლივაც საქართველოში ათასნაირი აზრი და კიდევ მეტი ჯორმართალი ტრიალებს. იგი მხედრონის წევრი არ ყოფილა. ძმები ვაშაიძეები მისი ბავშვობის მეგობრები და ახლობლები იყვნენ. 1992 წელს, ძმები ვაშაიძეები დაიჭირეს. ეს ის პერიოდი იყო, გამსახურდიამ ქვეყანა რომ ქვეყანა დატოვა. საქართველოში ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდა. იმ დროს ციხიდან გამოსული ძმები ვაშაიძეები მის თანამოაზრეთა რიგებში იყვნენ. დათოც მათ გვერდით დადგა და ასე აიღო ხელში იარაღი, თუმცა მხოლოდ სამშობლოს დასაცავად. მის სახელს სხვა ლაქა არასდროს მოსცხებია, უფრო მეტიც, მისი პატივისცემის გამო, ბევრი დიდ ჯიხაიშელი წავიდა აფხაზეთში საომრად. რამდენიმე მისი თანაკლასელიც იყო. ოთხი შვილის მამა გახლდათ მერაბ ლევიძე. საომრად წასული დათოს მოუბრუნებია, რამე რომ მოგივიდეს, შენს შვილებს რა ეშველებათო. იმ პერიოდში დათო ვაშაიძე სამტრედიისში კონტროლის პალატაში მუშაობდა, რომელსაც მერაბ სტურუა ხელმძღვანელობდა, ხოლო იგი მოადგილე გახლდათ.

1992 წლის ივლისიდან გაგრის ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. გაგრის ირგვლივ სიმაღლეებს იცავდა მისი დანაყოფი. მშვიერი და ჩაუცემელი ჯარისკაცები საჭმელს ბოსტანში გადაპარვით მოიპოვებდნენ. ერთი შეტაკების დროს რაზმიდან სამი დარჩნენ მხოლოდ. სამი დღის მანძილზე მარტო შეინარჩუნეს ობიექტი. გაგრას გადაურჩა. მისი დაცემის წინა დღეს სახლში დაბრუნება მოუწია, ბიძა გარდაეცვალა. იქ, გაგრაში კი შემოიარა. გამხდარი, მუნი დამართონოდა.” — იხსენებს უფროსი და ნათელა.

სოხში დაეცა! დატოვეს ქალაქი და ახლა იმ ადამიანებს ეხმარებოდნენ, ჭკუბერთი რომ გამოვიდნენ სამშვიდობოს. ფეხზე “ბოტასები” სცმია დათოს. თოვლსა და წვიმაში, მაღალ მთაში სულ დახევია და ფაქტობრივად ფეხშიშველი გვერდით ედ საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ქცეულებს და თვითონაც ამ გზით მოდიოდა ნაომარი შინისკენ. ფილტვების ანთებით დაბრუნდა. ცოტა ხანს შინ უმეურნალებს და ისევ... საქმე



შემოიარა. გამხდარი, მუნი დამართონოდა.” — იხსენებს უფროსი და ნათელა.

სოხში დაეცა! დატოვეს ქალაქი და ახლა იმ ადამიანებს ეხმარებოდნენ, ჭკუბერთი რომ გამოვიდნენ სამშვიდობოს. ფეხზე “ბოტასები” სცმია დათოს. თოვლსა და წვიმაში, მაღალ მთაში სულ დახევია და ფაქტობრივად ფეხშიშველი გვერდით ედ საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ქცეულებს და თვითონაც ამ გზით მოდიოდა ნაომარი შინისკენ. ფილტვების ანთებით დაბრუნდა. ცოტა ხანს შინ უმეურნალებს და ისევ... საქმე

ძლება თქვან. ყველა, ყველა ქვეყანაში სიველილი სიველილი! გაუგებრობა ქართველის ხელით მოკლული ქართველის გამართლება იქნება!

ყოველთვის ამბობდა, “რა შუაშია ზვიადისტი და მხედრიონელი, ქართველები ვართ და ერთად უნდა ვიდეკო, ერთი სამშობლო გვაქვს დასაკავო”. ამბობდა. არ უსმენდნენ არც მას და არც სხვას მისნაირს. მას მერე დრომ მოკლეს შუაშია.. დღეს სამოქალაქო ომი ისევ ლაქად თუ მოუშუშებელ იარაღ აჩნია ქვეყანას, რომლის ისტორიაშიც მრავლად არის ამგვარი ფურცელი, ძნელად, სირცხვილით და ცრემლით გადასაფურცლო.

სიველილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე ხარისხის ორდენი მიენიჭა. სანამ მამა ცოცხალი იყო, მარჩენა-ლდაკარგულის პენსიას იღებდა ოჯახი. ისიც გარდაიცვალა და... თუმცა არც არავისთან მისულან დები, დედაჩვენს თანხის მიცემა ალუდგინეთო. რა სათქმელია, რომ შვილს არასდროს ენანება დედისთვის ლუკმა, მით უმეტეს, რომ ვერანაირი დახმარება შეავსებს იმ დანაკარგს ოჯახისთვის შვილის, ფუძის გამგრძელებლის სიველილი რომ ჰქვია. ყურადღება ნამდვილად ახარებს დათო ვაშაკიძის ოჯახს. წლების წინ ყოველ 26 მაისს, იმერეთის გუბერნატორ თემურ შამშიაშვილისგან მადლობის წერილი მოგვდიოდა. ბოლო სამი წელია, აღარ მოსვლიათ, თორემ აქამდე, ისევ 26 მაისს ადგილობრივი ხელისუფლება 100 ლარიან საჩუქარს უგზავნიდა დღეუბნის დედას. ცოტა ხნის წინ, დათოს უფროსმა დამ სამტრედიასი სოციალურ სამსახურს მიაკითხა, სიტუაციაში გასარკვევად. იქ კი უპასუხეს, რომ გორგასლის სახელობის მედლებს მამინ ყველას ურიგებდნენ. მისი აღმოფხვრის შემდეგ დაინტერესდნენ კიდევ, მაგრამ ვერაფერი გაარკვეეს. სოციალური სამსახურიდან საპენსიო განყოფილების მისამართი მიუცაიათ, სადაც ყოველგვარი თავანძობის გარეშე უთქვამთ, ამ კატეგორიას კი არა, გაჭირვებულ მოსახლეობას ვერაფრით ვეხმარებით.

ბიჭი კი, ბიჭი სამშობლოსთვის მოკვდა, მისთვის იომა. არავის უთქვამს სამოქალაქო ომის ქაოსით მოცულ რეალობაში, რომ ეს ასე არ იყო. დათო ვაშაკიძის შემთხვევა სხვა იყო, ბურუსით მოცული, მეგობრის საშველად თვისტომის მიერ დახვერტილი ახალგაზრდა სიცოცხლე, სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი.

ლადო

დათო ვაშაკიძეზე ბევრად უმცროსი იყო ლადო ქუთათელაძე. დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მისულს, იგი ბოლო, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე დახვდა. მათი ახლობლობაც აქედან დაიწყო. სკოლა დაამთავრა, უმაღლესი განათლება მიიღო, მაგრამ უფროსი მეგობრის და მასწავლებლის თანამოაზრეობა ასაკობრივმა სხვაობამ ვერ გადააფიქრებია მას. მით უმეტეს, რომ ეროვნული მოძრაობის ჩაგდება მარცხალი უფრო და უფრო ღვივდებოდა. დედაქალაქში უკვე დაწყებული იყო გარკვეული ძვრები. პერიფერიებში კი...

სახალხო ფრონტის დამარსებელი პირველი კრება სად და როგორ ჩატარდა, უკვე ვთქვით. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს თბილისში გახ-

ლდათ, დათო ვაშაკიძის ინიციატივით სამტრედიასი სახალხო ფრონტის თავმჯდომარედ ლადო ქუთათელაძე აირჩიეს. მამინ იგი 21 წლისა ყოფილა. უკვირდათ, რატომ აკეთებდნენ ამას ბიჭები წარმატებული და პატივსაცემი ოჯახებიდან. საზოგადოების უმრავლესობა ვერ აცნობიერებდა, თუ რა და როგორი იყო გზა, რომელსაც ქვეყანა დამოუკიდებლობამდე უნდა მიეყვანა. “ზვიად გამსახურდიასთან და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ახლო და კარგი ურთიერთობები ჰქონდათ დათოს და ლადოს. განსაკუთრებით ლე-



ვან ლეონჯილია უყვარდა, ძალიან დიდ პატივს სცემდა. რატომ მოხდა, რომ შემდეგ სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, დღემდე არ მესმის. თემურ ნუცუბიძე კი მათი გზის გამკვალავი იყო ეროვნულ მოძრაობაში ჩასართავად.” – იხსენებს ლადოს დედა.

დედა, თამარ ქუთათელაძე დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში მუშაობდა. მამა, გიორგი კი – თბილისში, 31-ე საავიაციო ქარხანაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. შეიძლება ითქვას, რომ მამაც სამოქალაქო ომს შეეწირა. ერთ-ერთი დაბომბვის დროს მეზობლის ეზოში ნამსხვრევი მოხვდა ფეხში, რამაც მალევე სიძლიერე გამოიწვია.

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მარნეულის ხილული წყნების ქარხანაში დირექტორის მოადგილე იყო ლადო ქუთათელაძე. კაბინეტს მოყოლილ კეთილდღეობას ძნელად სავლელი გზა არჩია. მამინდელ საქართველოში ნშირად ისმოდა, “სჯობს მონობაში გადიდგაცეხულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი...” ისიც ერთი ახალგაზრდა სიცოცხლე იყო ასე გარდაცვლილი. იმაშიც ეთანხმებოდა უფროს მეგობარს, დათო ვაშაკიძეს, რომ ქართველები ზვიადისტებად და შევარდნადისტებად არ უნდა დაყოფილიყვნენ, რომ ამომავალი წერტილი სამშობლო და მისი დამოუკიდებლობისთვის სამართლიანი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. “ძმები ვაშაკიძეები ძალიან კარგი და პატიოსანი ოჯახის შვილები, თავადაც მშრომელი და კარგი ბიჭები იყვნენ. მართლა ვერ ვხსნი, რა მოხდა ისეთი, რომ ეროვნულ მოძრაობასა და გამსახურდიასთან მათი გზები გაიყო. ჩვენი ბიჭები, დათო და ლადო სწორედ თანასოფლელობის გამო იდგნენ მათ გვერდით, ისინი მხედრიონ-

ნელები არ ყოფილან. გამსახურდიას წინააღმდეგ, მის ჩამოსაგდებად მათ იარაღი არ აუღიათ. მათი ბრძოლა აფხაზეთში დაიწყო იქაური მიწის დასაბრუნებლად.” – ამბობს ქალბატონი თამარი.

ყოველგან, იბრძოდა ყველგან, სადაც დათო ვაშაკიძე, როგორც შვილი, ისე ჰყავდა უფროს მეგობარს მასზე ასაკით ბევრად პატარა ბიჭი. ამიტომ დათოს ლადოს დარდი ჰქონდა, ძალიან ახალგაზრდაა, ზედმეტად რისკავსო, დაურეკავს მას ლადოს მძისთვის, რომელიც იმხანად მონაქრებში ცხოვრობდა და რომელსაც მასავით დათო ერქვა. მოატყუეს ლადოს, მძის სჭირდებოდა და გაგრიის ბრძოლების დროს პირდაპირ აეროპორტში წაიყვანა მოსკოვში გასამგზავრებლად. მოგვიანებით უფროსმა ვაშაკიძე შეატყობინა დედას, რომ ლადო მასთან იყო.

გაგრიის გარდა მონაწილეობა ოჩამჩირის ბრძოლებშიც მიიღო. მისი გარდაცვალების შემდეგ ქუთათელაძეების სახლში ატირებული ქალბატონი მისულა, რომლის სახელი დედას აღარ ახსოვს, გვარად გიორგაძე იყო იგი. ოჩამჩირეში მის სახლში ცხოვრობდნენ თურმე ლადო და დათო. ცხოვრობდნენ იმიტომაც, რომ ქართველის სახლს შესაძლო გაძარცვისა და აფეთქებისგან იცავდნენ. ეს ქალბატონი დედას ეძებდა თურმე, ოჩამჩირის ბრძოლების შემდეგ რომ გამოიყვანეს ბიჭებმა იქედან და ხონში დააბინავეს. ლადოს სიველილი გაუგია თურმე სამტრედიასი ჩამოსულს და საკუთარი დედაც დავიწყია, მათთან მისულა მისსამძიმრებლად. მოყოლია, იქ, ოჩამჩირეში, ამ ქალბატონის სახლში ლადოსთან საქმეზე მისულ მეგობარს ფეხი დასველებია და მისთვის წინდა უთხოვინია, ამხელა ოჯახია, როგორ არ ექნებათ, აიღე და მომეციო. მას უარით უპასუხნია, აქედან ვერაფერს ავიღებო, საკუთარი გაუნდია და მიუცია.

იმ საბედისწერო დღის წინა დღეს ჩამოვიდა მოსკოვიდან. თბილისში ნათესავთან წესიერად არც გაჩერებულა, დედა მენატრება, სახლში უნდა ჩავიდეო. სახლში მისულს სადი-

ლი დაახვედრეს მშობლებმა. პირი არ დაუკარებია, დათოსთან ერთად ცხენისწყლის პირას წავიდა თეთრი დროშით მოსალაპარაკებლად. არადა, ზვიადისტები უკვე ცხენისწყალს გადმოვიდნენ. ეს შაბათი გახლდათ. გვიან ღამით გაიყვანა სახლიდან მეგობარმა. დედისთვის უთქვამს, აქაურობას უნდა გავაცილო. წავიდა. წავიდა და... 37 ტყვეით დაცხრილული უკვე გარდაცვლილი “დაბრუნდა” დიდი ხნის უნახავ მშობლებთან, ცოტა ხნით რომ შემოუარა მონაქრების მოსაკლავად. ეს რამდენიმე დღეში მოხდა.

“ჩემს დასთან მივიღივარ, რატომ მომყვებით”, უთქვამს დათოს მისთვის სახიფათო გზაზე დადგომის წინ. “შენი და ჩემი დაც არისო”, უპასუხნია ლადოს და ისიც იმ მანქანაში ჩაჯდა, დათოს სიძე რომ მართავდა. მერე კი მოხდა ის, რაც მოხდა. სამტრედიის ხიდთან დაცხრილული მანქანიდან გაქცევა ვერ მოახერხა ლადომ. 37 ტყვია მოხვდა მას. მისი “მიშველეთ” საბედისწერო აღმოჩნდა მეგობრისთვის, მას რომ მიეშველა. მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა მათ ურთიერთობაში. დათოს ერთადერთმა ტყვიამ ბეჭიდან გულში გაუარა, ლადო ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, საავადმყოფოში რომ მიიყვანეს.

ისიც წავიდა ისე, რომ სამშობლოს სიყვარულთან ერთად იმ ღამეში გოგოს სიყვარული გაიყოლა, ბავშვობიდან რომ მოჰყვებოდნენ ერთმანეთს. თურმე, მეოთხე კლასში ერთად ცეკვაოდნენ კიდევ. მათი სიყვარულის მოწმე მთელი სოფელი ყოფილა.

შვილი მოუკვდა და... დარდმა საწოლს მიაჯაჭვა დედა. კარგა ხანს ჩაწოლილი თვალს საერთოდ არ ახედა. “სიტყვა, სული, ჯერაც არ მისხენებია, შვილო, მინდა ცოცხალი იყო ვახსენო.” – ტირის დღესაც.

სიველილის შემდეგ, მასთან ერთად გარდაცვლილი მისი მეგობრის მსგავსად, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

სახელმწიფოსგან? სახელმწიფოსგან დედას არასდროს აუღია ღანძ-

არება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე შესთავაზეს თანხა 100 ლარის ოდენობით. “ერთი მემორიალური დაფა არ არსებობს სოფელში ჩემი შვილის სახელზე. რა, მტერი იყო? მე პატიოსანი, წარმატებული შვილი მყავდა, საქვეწო საქმისთვის თავი რომ გადასდო. ეს იცის ყველამ, ვინც მას იცნობდა, იცის სოფელმა, ვერავის ვერაფერს გამოაპარებ. ასეთ ადამიანებს მტეი დაფასება ეკუთვნით. სამწუხაროდ, ესა დაგვრჩენია გაუბედურებულ დედებს ნუგეშად.” – საუბრისას სიტყვებს ცრემლები უსწრებს, დედა კვლავ გარდაცვლილ შვილს დასტირის. სოფლისგან და თანატოლებისგან პატივისცემას ყოველთვის ვერძნობთო, – ამბობს. იმასაც იხსენებს, მეუღლის მძიმე ავადმყოფობის დროს თხოვნაც არ სჭირდებოდათ, ისე ეხმარებოდა მამინდელი გამგებელი მერაბ სტურუა. ვალერი ფოცხვერია კი მუნიციპალიტეტის დღევანდელი გამგებელი, მამინ საკრებულოს თავმჯდომარე იყო. მისი ყურადღება და გულისხმიერება დღემდე ახსოვს თამარ ქუთათელაძე.

მედლებით დაჯილდოების ცერემონიალზე დათოს მამა, პავლე ვაშაკიძე და ლადოს დედა თამარ სსს, ერთად წასულან სოფლიდან. გვერდივერდ იხსდნენ. “იქ ისეთებიც დაჯილდოვეს, ჩვენი შვილები ერთად დაჯილდოების ღირსები რომ არ იყვნენ. თავი ვერ შევიკავე, მთელი დღე ვტიროდი, ვერაფრით დამამშვიდეს.” – ჰყვება ქალბატონი თამარი და ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გვახსენებს დიდ, სირცხვილიან სატკივარს, იმ წლებში საქართველოში რომ დატრიალდა. ღირსი რომ არ იყო, ისეთების გმირებად გახლდა ახალი არ არის ქართული რეალობისთვის. და არც ისაა უცხო, როგორც ქალბატონი თამარი იტყოდა, ერთი მემორიალური დაფა რომ დანანებით უყურადღებობის გამო იმათთვის, ვინც ამას იმსახურებს. მართალია, არც ფულადი დახმარებით შეუწუხებით დედად თავი, მაგრამ ამ ოჯახებისთვის მათი შვილების ღირსეულად ხსენა უფრო ღირებულია, ვიდრე კუპირებით “გახსენება.”



თბილისი

უკვე მეორედ იმოდრომმა ცხენოსნობის მოყვარულებს უმასპინძლა. გასულ წელს დაარსებული ტურნირის ტრადიციად ქცევა განმარტავს სამტრედიელებმა. სტარტი რამდენიმე დღით ადრე აიღო მან, ფინალი კი 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე გაიმართა. ასე იყო შარშან და ასე იქნება ყოველ წელს, ასეთია ტურნირის ორგანიზატორთა გადაწყვეტილება. დოლი, მარულა, ისინდი, ცხენბურთი, მხედრების ეროვნული ჩაცმულობაც და “... რომ ქართველობა არასოდეს არ გადაშენდება,” იმედად რჩებოდათ ცხენოსნობის, გართობის, ადრენაღინის და თუნდაც, სეირის მოყვარულებს. ახარტში ვადანდრდილი ემოცია ხმაურობდა იმოდრომზე და უკვე მისახვედრი იყო, რატომ ადარებენ ჯიშთან ქალს ჯიშთან ცხენს.

“მაგარი ხარ მურიველა, შე ბებერო!”, “წადი, გაფრინდი...” – ეს და მსგავსი ფრაზები მრავლად ისმოდა. მათი აუტორი ძირითადად ნანა ხუჭუა, საცხენოსნო კლუბის ბუღალტერი იყო, თავდავიწყებით რომ გულშემატკივრობდა სამტრედიას და საკუთარ თანამშრომლებს. ჟურნალისტებთან კლუბის პრობლემებზე რამდენიმე სიტყვა გულისტკივლით ნათქვამი გამოუვიდა: “სპორტსმენებს ხელფასი არ ერიცხებათ, ამიტომ ახალგაზრდები არც მოდიან სავარჯიშოდ. ესენი, ვინც სამტრედიის სახელით გამოდიან, კლუბის თანამშრომლებია. ჩამოსულები გაცილებით ახალგაზრდები არიან.” ყველაზე უმცროსი, სამტრედიელი მხედრებიდან, 35-40, ხოლო ყველაზე უფროსი 69-70 წლისა იყო. მიუხედავად ამისა, გარდამავალი თასი მაინც სამტრედიელებში დარჩა. თუცა, ამანვე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი ის, რომ ტურნირში ადგილობრივების გარდა მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ხუთი გუნდი მონაწილეობდა. სენაკიდან, აბაშიდან და მარტვილიდან ჩამოსულ გუნდებს გულშემატკივარიც თან ახლდა. ბადრი ყულუამ, ჭალადიდელმა, ჯერ საკუთარი სოფლის გუნდის გულშემატკივარი ვარ, მერე კი სენაკის, გვითხრა და ისურვა, “შთავრობა უფრო მეტად რომ ჩაერთვებოდეს ამ სახე-



ჩაბთა პოიზაშა პეპია პოპია

მეგარი ხარ მურიველო, შე ბებერო!

ობების გადარჩენაში, ეროვნულობას გაცილებით იოლად შეეინარჩუნებთ.” საცხენოსნო კლუბის დირექტორი პავლე კაპანაძე, როგორც ყოველთვის, თავის “ფაცურაზე” ამხედრებული, ტოლს არ უღებდა ახალგაზრდებს. კომენტარის გასაკეთებლად დაქვეითდა და გვითხრა: “დღეს მეორედ იმართება მუნიციპალიტეტის გამგეობის, სამტრედიელი ბიზნესმენების და საცხენოსნო კლუბის მიერ დაწესებული ასპარეზობა ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ბიზნესმენები მხოლოდ სიტყვით გვედგანან გვერდით ჯერჯერობით. ცხენოსნობა ქართველი კაცისთვის მარტო სპორტი არ ყოფილა, ცხოვრების სტილი იყო.

რადგან ტურნირში მხოლოდ ერთი, სამტრედიელთა გუნდი იღებდა მონაწილეობას. ოზურგეთმა და ბათუმმა იმიტომ არ მიიღეს მონაწილეობა, რომ მათ რაიონებში დიდი საპრობლეო ფონდით ტარდება მსგავსი შეჯიბრი.

არჩუნების სიმბოლო იყო, სენაკში ორი გუნდი ახლახანს აღვადგინეთ. ისინი ამ ტურნირით იღებენ სტარტს. თქვენს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამტრედიელებში ამ კუთხით გაცილებით უკეთესად გაქვთ საქმე.” – ამბობდა გონა ღვებუაძე.



ვინც მას მისდევს და იცნობს, არ გაუკვირდება, რატომ არ უნდა დაკანონდეს საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება.” ემოცია მოეჭარბა პავლე კაპანაძის სიტყვებს, რომელიც გვიხსნიდა, რომ იმერეთიდან მარტო სამტრედიელები მონაწილეობდა, დანარჩენი მეგრული გუნდები იყვნენ.

სი თანამშრომელს რომ ეუბნება, მაშამის მოციხევა გადაეცა, ახალგაზრდობაში ერთად ვიპარავდით ცხენებსო. დიას, სამეგრელოში ქალს არ გამოგატანდნენ, ორი კარგი ცხენი სახლში თუ არ გება. “მიუხედავად ამისა, რომ ცხენი მეგრული კაცისთვის ოდითგან თვითმყოფადობის შენ-



ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური გახლდათ. საორგანიზაციო საკითხები უშუალოდ მისმა ხელმძღვანელმა, ნატალია მანჯგალაძემ მოაგვარა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიურმა, სხვების მსგავსად იმაზე გამახვილა ყურადღება, რომ “განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ ტურნირზე, ეროვნული სახეობების წინ წამოწევაა. ეს არ არის მხოლოდ სანახაობრივი დატვირთვის მქონე ღონისძიება. ამგვარად კიდევ ერთხელ ვახსენებთ საკუთარ თავს, რომ ქართველები ვართ!”

რველობა ვარდენ კვიციანიშვილმა არ დასთმო, მეორე ბაჩანა სიმონია, მესამე კი მიხეილ ზარნაძე გახლდათ. გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი სამტრედიას ხვდა წილად.

შემოდგომის თბილი საღამო ინავლებოდა ტანმალ ხეებში. მხედრები შინ ბრუნდებოდნენ. პარალელურად მაყურებელმაც ავტომობილების გრძელ რიგს მიაშურა. თანამედროვეობის და ტრადიციების ამგვარი თანხვედრისას ყველა სიამოვნებით აღნიშნავდა, ცივილიზაციას ფუნაწყობილმა ყოფიერებამ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც ეროვნულობას რომ დაუთმო გზა.



პაზის ცრემლით გაღუგვული კოვბის საიუბილეოდ

რა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, პოეტის რანგში კი რედაქციაში გავიცანი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ილია ლევკიძის ციკლია ლექსები უპრობლემოდ ივლევინ გზას გემოვნებანი მკითხველებისაკენ.

რამდენიმე პოეტური კრებული უკვე გამოსცა ჩვენი გაზეთის ერთგულმა მეგობარმა პოეტმა, სადაც ბევრ საინტერესო ლექსს გაცნობა მკითხველი.

პროფესიით პედაგოგია ბატონი ილია, ერთხანს სამტრედიასა და ვანში იმუშავა სკოლების დირექტორად, პედაგოგად.

ნორჩებისადმი სიყვარულმა ბოლო წლებში ხელში კალამი უფრო სათუთად ააღებინა და... ლამაზი ლექსებიც შეიქმნა ცეროდენა, ნეკოდენა ქართველებისათვის.

სათქმელსა და სალაპარაკოს რა გამოვლევს უფროს მეგობარზე, თუმცა ვითვალისწინებთ, რომ პოეტი წელს იუბილარია და სიყვარულით ვულოცავთ იუბილეს. ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო ილია, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ!

აქვე პოეტის რამდენიმე ახალ ლექსს ვთავაზობთ პატარა მკითხველებს, რომელთა უმეტესობა ზაფხულის ხვატს სოფლებში ბებია-ბაბუებთან აფარებენ თავს.



ილია ლევკიძე

მზარი
ცალი თვალთ გვიყურებს
ცხრათვალა მზე ღრუბლიდან,
მზეო, ნუ გერიდება,
ოღონდ დაგვიბრუნდი და...
გეფიცები დედიკოს,
როდი გასაყვედურებ!
მოენატრე ჩემს ბაღში
ჩემს საყვარელ ბელურებს.
დედასავით მიყვარხარ,
შემომხვეი ხელები –
მოგვიხატე მთა-ბარი
ნაირ-ნაირ ფერებით.
სიხარულით ვივსები,
როცა თვალებს მიოცნი,
შენ წყარო ხარ უმრეტი
სიყვითის და სიცოცხლის.

ზაფხულია
მზე ღრუბლებიდან თვალს მივრავს,
ლამის და ლოყა ამეწვა...
წყარო ამღერდა, მდინარემ
ყინვის ბორცვი დაღწა.
ფანჯრებმა ფრთები გაშალეს,
დათბა და ღია კარი ჩანს,
მინდორ-ველს ფერად-ფერადი
გაუფენია ხალიჩა.
დაფარფატებენ პეპლები,
დაფრთხილებენ ჩიტები,
მცხუნვარე მზე გვეფერება
თავისი თბილი სხივებით.

პარიზელი პრ...

მე ქართველი ვარ სისხლით,
სახელითა და გვარ-ტომით...
მე ვარ, გმადლობ ამისთვის,
საქართველოს პატრონი.
ამ ცას, ამ მზეს, ამ მთვარეს
ამ მთებსა და ქედებს,

ჩემი გულის ფეთქვა და
სიყვარული ამღერებს.
სიყვარული ამღერებს
იმერსა თუ ამიერს,
იდლეგრძელე, საქართველოვ,
მარად მრავალჭამიერ.

მინიატურები

ფუტკარი ყვავილს დააჯდა ისე, რომ ამ ზაფხულმა ამდენი ხნის უნახავ დედამიწას აკოცა თითქოს.

დამშრალი მდინარის პაწია ტანი სულს ღაფავს ისე, თითქოს მთეუფეს ცხელ ასფალტზე ჩამოვარდნა პატარა თევზი...

მცირე ჩანახატი
მამამ გამიყო მე თავისი სისხლი,
დედამ გამიყო მე თავისი გული.
ახლა ორივე ჩემშია, მაგრამ ეს ჩემი
განმორების დარდი, მათი სისხლისა და
ხორცის ტკივილია.

შენ მიყვარხარო,
ეს ორი სიტყვა ისე სხედან რვეულის ხაზზე,
თითქოს პატარა გოგო და ბიჭი...

ყოველდღე ახალი ხეები იზრდება
ახალი კუბების გასათლელად...

ცა ეზიდება ნარიყალადან
წოწინარებით მზეს ყოველ დღით
და მტკვარს თითზე ბეჭედივით
წამოუცვამს მეტენის ხიდი.

პოეტი
ასოები ფუტკრებით ბრუნდებიან რვეულის სკაში,
ყვავილიდან კი არა, შენი გულიდან ამოსული ნექტარი.
და ლექსის ფიჭაში თავფს ტოვებენ
სიმწრით ნაგროვებს...

პარიზელი პარიზელი

საერთაშორისო დაჯილდოება...

ბუნებით მკაცრება, შემოქმედის თვისებებით შემკული. თევზის ძვლები შთაგონების წყაროდ დიდი ხანია ექცა. მასთან სტუმრობა ხელოვნების ზეიმი. ტურფა ოდილაგაძე ლანარში დაიბადა. ახლა თბილისში ცხოვრობს; სამტრედიისში ვატარებელი ბავშვობის წლები ტკბილ მოგონებებად შემორჩა... თავისუფალ დროს წერს, როგორც თავად ამბობს, "ჭიან ახარებს"...

“ზაფხულში ქალაქიდან გასვლა და დასვენება დიდ საიმედოებას მგვრის. წელს საირმეში გახლდით, საოცარი ბუნებაა, წყალი – საუკეთესო”. – გვითხრა მორიგი სტუმრობისას ქალბატონმა ტურფამ და შთაბეჭდილების უკეთ გამოსახატავად ჩანაწერი გადმოგვცა.

ფეტიხობით, ინტერესსმოკლებული არ იქნება ხელოვანის თვალთ დახატული ბუნების პეიზაჟების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

ილია ლევკიძე

მოძინდა აღმწერა საირმის თვალწარმტაცი ვარდო. რას ვაკეთებ? – დრო ბევრი მაქვს, დავიდალე უსაქმრობით, წყალი, სადილი, საათზე ცქერა...
სალონის ტყე გავიარეთ. მოუვლელო, დაბერებული, ხავსმოდებული, წელგათრეული ხეები საცოდავი სანახაია. “კომუნისტების” დროს აქ ირმეში პყლიათ გაშვებული. ადამიანებს შეჩვეული ცხოველები, ხშირად, ქუჩის ნაპირთან მოდიოდნენო, – გვიყვება მძლოლი.
გამოვიარეთ აჯამეთის ტყე. – მეფეთა სანადირო ადგილი უმოწყალოდაა გაჩენილი.
საირმე ბაღდათიდან 25 კილომეტრითაა დაშორებული. მოდიხარ რიკოთის უღელტეხილზე და “სტერილური” პაერი გეფერება, გეაღერებს თითქოს; ფილტვებს სასაიმორონდ უღიტინებს, სურვილს ადგიმრავს – ერთიანად ჩაისუნთქო. აქეთ-იქით კლდეებია, სიმწვანე და სილამაზე. ვცდილობ, ჩქარ-ჩქარა მოვაველო თვალი ყოველივეს.



ილია ლევკიძის პეიზაჟები

საირმე მონადირეს აღმოუჩენია, დაჭრილი ირმის კვალს წყაროდვე მიუყვანია; მოგვიანებით, წელის უნიკალური თვისებების შესწავლასთან ერთად, კლდე გაუჭრიათ და გზა გაუყვანიათ.
მიდიხარ ამ სილამაზეში, სიმყუდროვეს მდინარის აქაქანებული ჩქეფა არღვევს. შიშვლად გადმოშვერილ კლდეებზე მსხვილი, დალალებივით დაწული სურთები გადმოედებულა, ზოგან ხალიჩასავითაა გაკრული სურო. აგერ, ნაპრალებში ბუჩქია ამოსული, საინტერესოა, რითი საზრდობს ეს ლურჯი ყვავილნარი, მიწის ნასახი არსად ჩანს.
საირმე ქვაბით ჩაღრმავებული ადგილია, ირგვლივ კლდით შემოფარგული. ნაძვანარს ქვემოთ, მიწაგამოცლილი ხის ფესვები ობლადაა გამოიდებული.
დილა სულისმემკვრელი სილამაზით თენდება. მზე რომ ამოიწვერება, იფიქრებ, ცეცხლი წაეკიდაო მოწითლებულ

მთის წვერს. ნისლი დნეჯად მიცოცავს, დაძვრება ნაძვანარში. აივინდან დაცქერილი მდინარე წაბლარას, მღორე დინებაში აშკარად იგრძობა მისი სიმძიმე. ადულებულივით ბრუნავს კრიალა, კამკამა წყალი, მორევივით ეხვევა, თუ წინ ბარიერი შეხვდა, იცოცხლე, აქაფდება და მიასკდება ხავსმოდებულ ლოდებს, შხეფები მარგალიტებით იფრქვევა ირგვლივ. აქვე, წაქცეული ხე მწვანე ფოთლებით გადაწოლილა ნაპირზე, შეჩერების გარეშე გვერდს ვერაფერს აუვლი. მიუყვებო მდინარეს, ვუყურებ, ვუსმენ, სად მიბრძის? სად მიეჩქარება? რა აღულებს?.. საოცრებაა, თითქოს მიაქვს ჩემი დარდი და ვწნარდება.
ლურჯ, დამძიმებულ ცას ღრუბლებში შეჭრილი ხეივანი მატებს სიფაქინეს და მიუწვდომელს ხდის.
დიდება ამგვარი ბუნების შემქმნელს, დიდება უფალს!

ილია ლევკიძე

მოზაიკის თიხა!

კაკაისონის მთახვეულებს, თმათეთრ მყინვარებს, გულზე ვარამად მოპხვევიათ დარდი ეული, კლდეს შეღწეული, შლეგიანი თერგი მყინვარებს, თვით საქართველოს სხეულიდან ამოქნეული. მოგვამხის თერგი, მოღრიალებს მღვრიე ტალღებად – ძვირი დაგვიჯდა დარიალის კარის გაღება! პე. თქვენ ხევსურნო, არაგველნო, ფშავნო, კახელნო, იმერ-ამერნო, კილით-კიდე ყოველ ქართველნო, კვლავ იღეთ ჯვარი მაცხოვრისა საგზლად ცხონების ჩაბლუჯეთ ხმალი ქართლოსისა არ დამონების! კვლავ გააქროლეთ ბნელ ღამეში შავი მერანი, კვლავ აგუგუნეთ ზარ-ეჭვნების საღვთო მღერანი...! მამულიოსათვის ამღერებულ სულს უხაროდეს ღვთისმშობლის ერი არ ჩაქრება არგზის აროდეს!

პატივისცემის სიტყვით

ვანტანგის სიტყვით ნაგებო ზღუდე, დავითით დიდგორს განდიდებულო, ლომთა სადგომო, არწივთა ბუდე, ღვთისმშობლის ლოცვით გაბრწყინებულო, ნინოს ვახის ჯვრით მირონცხებულო, თამარის ცრემლით ნაცვარნამებო, მზის ქეთევანის მადლოცხებულო, ერო მრავალჯერ განაწამებო. წმინდა გიორგის ძალი გვარავდეს, ჯვარი გვარავდეს მაცხოვრის მარად, კრწანისის ველზე სამას არაგველს კვლავ იგულვებდე, სამშობლოვ, ფარად. ტაბახმელასთან იუნკერები, კვლავ ინთებიან უქრობელ სხივად, რომ მტერს მახვილი დანაძკერები, თან ჩაატანონ სამარეს ძვირად. ვანტანგის სიტყვით ნაგებო ზღუდე, დავითის სიბრძნით განდიდებულო, ლომთა სადგომო, არწივთა ბუდე, ღვთისმშობლის ლოცვით გაბრწყინებულო!

მე საქართველოს – სისხლის წვეთი ვარ, მარადიული ცრემლი ამ მიწის, ვარ დამამურალი, ვიდრემდის მცხეთას ჯვარცმული ერის სანთელი იწვის!

გაგზავს ნიკოლოზი

ასე ჰქვია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტს, რომლის კოორდინატორები სამტრედიის კობა ნოზაძე და მონიკა ცინცაძე არიან.

26 აგვისტოს პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში პოეზიის საღამოს მონაწილეებს უმასპინძლა.

ვიღრე ნორჩი პოეტები ლექსებს წაიკითხავდნენ, ინტელექტუალური ვიქტორინა გაიმართა, რომლის მიზანსაც ახალგაზრდა ინტელექტუალების აღმოჩენა შეადგენდა.

I ადგილი ნიკა ლეჟავას, II თეო მიქელაძეს, III კი ბექა ფოცხვერიას ხვდა წილად და ფასიანი საჩუქრებითაც დაჯილდოვდნენ.

დარბაზი აღაფრთოვანა ბექა ფოცხვერიას, ბაჩო ნადირაძის, ნორა მანჯგალაძის, ნიკო დანგაძის ლექსებმა.

პოეტობას არც ერთი მათგანი არ იჩემებს, თუმცა, ქართული მწერლობისადმი, სიტყვიერებისადმი, ლექსისადმი პატივი ნამდვილად იგრძნობა მათ ნააზრევში.

როგორც წესი, ამ საღამოზეც იყო ფრთიანი სიტყვა, შეულამაზებლად დანახული რეალობის აღქმა, სინატიფე.

ერთი სიტყვით სასიტყვეთი გვიმეგზურეს ახალგაზრდებმა და ისევე შეხვედრის დიდი სურვილით დაგვემშვიდობნენ.

საკუთარი ლექსი წაიკითხა ქეთი აბრამიშვილმა.

მონარულნი ვიქნებით, მსგავს დონისძიებებს ვუმასპინძლოთ, ლამაზი საღამო გამოვივიდათ, ფონად! _ ინიციატივა შეუქო ახალგაზრდებს ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ.

პროექტის მონაწილეთა რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

ლევან ბაგრაძე

პნ...

ენ, შენ ხომ იცი რატომ ძვრება სულში ჭიები. თითოეულ მათგანს ბელტებივით თავქვე ვაბრუნებ.

როგორც სიმშვიდე და სიჩუმე ისე მჭირდება, უნდა დაბრუნდე.

ენ, შენ ყოველთვის ჯიუტობდი, ვერ შეგაგუეს სკოლას და შენის გასატანად ცოტა გყოფნიდა.

ენ, შენ არ იცი, რაწინაირი სუნი ასდით ბაბუებს, როცა დაღლილი ბრუნდებანი ხოლმე ბოსტნინებ.



დნ. ენ, მე ყოველთვის პაპაჩემთან ვკამდი გლეხურად და თან სიყვარულს ვატანებდით გაფიცვულ მჭადებს. შენი დილა კი იწყებოდა, რა დაგეხურა

თავზე და როგორ მოგეხვია კისერზე კაშნი. ენ, ნუ საუბრობ, მომისმინო, ვისოვ, რა ხანია, იქნებ, არ იცი, რა ძნელია, სუნთქვა გიჭირდეს. მასხოვს ბებია, როგორც წუნდა დასახნავია ყანა და იქნებ ამ დღეებში მაინც გაწვიმდეს. ენ, მაშინვე ისევე ისე ცხოვრობს გლეხურად. უწემდისობა, უწემობა კისერზე უჭერს. დედა კი ვიცი იმას ვაჯობებს, რომ არ მეხურა ქული და ისე შეგვერეო გაყინულ ქუჩებს. ენ, შენ ხომ იცი რატომ ძვრება სულში ჭიები. /თითოეულ მათგანს ბელტებივით თავქვე ვაბრუნებ/

როგორც სიმშვიდე და სიჩუმე ისე მჭირდება ენ, არ მოხვიდე ისე დაბრუნდი.

ბგა ურცხვერის

გვარამია ლევან

მწამს ღმერთი, მაშინებს მამაო, მე მის თვალბეჭდში სიხარბე ვნახე. უცებ შემცვიდა და წამში მოგველი, ვგრძობდი, სატანა მიგებდა მახეს... ვიცი, ამ სიტყვებით, ფიქრობ, რომ ვცოდავ.

“საქართველოს მოსალისე”

მაგრამ პირიქით, მე ვითხოვ შეგლას, მინდა მარწმუნოთ, რომ მე მტყუანი ვარ და მოვეშვები მერეხელურ ჩვევას... რომ “ვაძაგებ” მამაოს, თვითონ უწმინდური, და ურცხვად ვამბობ, რომ მწამს

ღმერთი, ტაძარში არ დავდივარ და მერე ვტბრი, უტხენად ვამბობ, არ მწყალობს ბედი... ვიტყვი, რომ არ არის სასტიკი ეს რეალობა და მამაოც უანგაროდ წერს ჯვარს ორ წვეთს, ოღონდ მაჩვენეთ, რომ ვსტყუი და რაღაც სატანური მაფიქრებს და მჭირს...

ნუ გამიცხავთ, გზა დამანახეთ... მეც მინდა ვიგრძნო ზიარების ძალა, ჯიბზე გაყიდული შუამავალის კი მომეღალი და არ მჯერა, არა... მე მიჭირს სულიერად და მას ვითხოვ შეგლას, ის კი “სულის სიმშვიდე გინდა? ოთახში ჩაიკეტე”.

სწორედ ერთი ვაშლი ალბობს მთელ კალათას, ნუთუ არ გრცხვენია, მამაო? სულში ჩაიხვიდე... მამაო, თქვენ არა! ღმერთო მამაბაბი, ვიცი, არ მაქვს უფლება სხვისი გაკიცხვის, მაგრამ, მამაო, როცა ჯიბი მოგებურდებათ, მე ჯოჯოხეთის კართან დავიცდით. და დავანახებთ ქუჩის მათხოვრებს, სამოთხისავე მიმავლებს ლაღად, იმ სამოთხისკენ, სადაც მე შენ, არ მიგვიშვებენ ცოდვილებს კართან...

ნორა მანჯგალაძე

ლილეს

და მაშინ, როცა ცეკვაე ტანგოს, ირგვლივ სიჩუმის წამებს ვითვლი, მინდა, რომ წუთი გაჩერდეს ამდროს, ნეტავ, განახა ამ მაჯის რითში. როცა შენ იხსნი ცხოვრების ნიღაბს, მუსიკის რითმას რომ უწყობ გრძობებს, მე ამ შეხვედრას ვაბრუნებ ილაზს და მუსიკალურ, ამ გიჟურ თხრობებს.

ტანგო... ტანგო და გიჟური ცეცხლი, თამაში ვარდი და ფერები დალის, სალვადორ! მე შენ არაფერს გერჩი, ღმერთს ვერჩი, შემქმნელს ლამაზი ქალის, პიკასოც, აი, ვხედავ მის ჩრდილებს, გეტყობა, რომ შენც გიყვარდა, კარგო, წითელი ცეცხლი და ვარდი თამაში სიჩუმე ღამე მე შენ და ტანგო.

ბგა ურცხვერის



*** დაფიქრდი გოგონა, სიფრთხილე იჩინე, ბიჭი მაცდურია თავისი ფიქრებით. დღეს შენთან იქნება გულს გადავიშლის, კომპლექსი ავიგებს მამიკოს უფლებით, ინტიმს გაგებამს, შიგ ყელში გაკოცებს, გეტყვის დაფინებით შენ რომ მას აოცებ. შემდეგ შემოგტყუებს საწოლს ენებთან და დაგაჯერებს მხოლოდ შენ გაკოცებს, შენ, გულუბრყვილოს დაგეჯერება, სხეულს დაუთმობ შენივე გრძობებით. ღამე ჩაივლის დაცლილი სიტყვებით, როგორც ფილა გაცლილი გრძობებით. დილის გარიჟრაჟზე ფიქრები გვერვა, გრძობაწართმეულს სიტყვები გველვა, ბიჭებს ნუ გვენდობით ასე დაფინებით მამიკოს ფულებში ნუ აგერევათ.

ბგა ურცხვერის

“სამტრედიის” ლიდერის პროფილი განიხილავთ

30 აგვისტოს, სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე საფეხბურთო კლუბი “სამტრედია” თბილისის “ლოკომოტივის” მასპინძლობდა.

ქობულეთის “შუქურასა” და თერჯოლის “საპონელასთან” მოპოვებული გამარჯვებებით “სამტრედია” სტუმრებს ერთ-ერთი ლიდერის რანგში დაუხვდა.



მატჩი მასპინძელთა კარნახით დაიწყო და მე-10 წუთზე ბუღუ ზიგვიძემ ანგარიში გახსნა, რასაც პირველი ტაიმის მიწურულს ავთო ენდელაძის გატანილი გოლი მოჰყვა.

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა ყურადღება მოაღწუნეს, რამაც სტუმრებს საშუალება მისცა, გავაშლავს ვილისა და ქანთარას ქულებით ანგარიში გაეთანაბრებინათ.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მალევე მოახერხეს მობილიზება და კარგად დაწყებულ საქმეს კარგი დასასრული მოუძებნეს. დავით რაჭიმაშვილმა 73-ე წუთზე გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. 3 : 2 _ “სამტრედია” მორიგი სამი ქულა მიითვალა და სატურნირო ცხრილში თბილისის “დინამოს” კვლავკვლდ ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. მომდევნო მატჩს საფეხბურთო კლუბი “სამტრედია” 12 სექტემბერს თბილისში, საფეხბურთო კლუბ “საბურთალოსთან” ჩაატარებს.

ბგა ურცხვერის

საქართველოს სუპერთასი “დინამოს”

25 აგვისტოს თბილისის მიხეილ მესხის სახელობის “ლოკომოტივის” სტადიონზე გაიმართა საქართველოს სუპერთასის მატჩი ფეხბურთში, საქართველოს ჩემპიონის, გორის “ფიფასა” და თასის მფლობელის, თბილისის “დინამოს” გუნდებს შორის.

შეხვედრა ანგარიშით 1 : 0 მოიგო “დინამომ”. გადამწყვეტი გოლი მატჩის 77-ე წუთზე გაიტანა ვახტანგ ჭანტურაშვილმა.

ამ ტიტულს “დინამო” მეშვიდედ დაეუფლა. თანაც თბილისელებმა ზედმედ სამჯერ მოიპოვეს სუპერთასი. გამარჯვებულ გუნდს სუპერთასი გადასცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდიანმა რევაზ არველაძემ.

ესპანეთის სუპერთასი “ატლეტიკოს”

თბილისიდან თავის სამშობლოში დაბრუნებულმა, უეფას სუპერთასის გამარჯვებულმა “ბარსელონამ” 14 და 17 აგვისტოს ესპანეთის სუპერთასის ორი მატჩი გამართა ბილბაოს “ატლეტიკთან”. პირველი შეხვედრა ბილბაოში ანგარიშით 4 : 0 მოიგო “ატლეტიკმა”, ხოლო საპასუხო შეხვედრა ბარსელონაში ფრედ 1 : 1 დათავრდა. ამრიგად, ორი მატჩის ჯამის მიხედვით ქვეყნის სუპერთასს, 31 წლის შესვენების შემდეგ, “ატლეტიკი” დაეუფლა.

ბგა ურცხვერის

“ჩაჭა _ 2015”

ამას წინათ, ქ. ამბროლაურში ჩატარდა საჭადრაკო ფესტივალი 14 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის “ჩაჭა _ 2015”, სადაც ნორჩმა სამტრედიელმა მოჭადრაკემ, გიორგი ელაშვილმა, დაიკავა პირველი ადგილი.

გიორგი არაერთი ტურნირისა და ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებულია. ამჯერადაც 7 ტურიდან ნ-ნახევარი ქულა მოიპოვა და გახდა პირველი ადგილის მფლობელი.

ამბროლაურის კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ გიორგი დააჯილდოვა შესაბამისი თასით, მედლით, დიპლომითა და ფულადი ჯილდოთი.

აღსანიშნავია, რომ ამ ფესტივალში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მონაწილეობდა 90 მონაზარი. მათ შორის იყვნენ მოჭადრაკეები სასომხეთიდანაც.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ვია გიორგაძემ, საპრიზო ადგილებზე გასულ ბავშვებს მიულოცა გამარჯვება, პირველი ადგილის მფლობელს, გიორგი ელაშვილს კი უსასხოვრა წიგნი “ცხოვრება ჭადრაკით”, რომლის ავტორიც თავადაა.

გიორგი ელაშვილი სამტრედიის № 11 საჯარო სკოლის VIII კლასის წარჩინებული მოსწავლე და სამტრედიის საჭადრაკო სკოლის აღზრდილია (მწვრთნელი ქალბატონი ნინო ჯვარციანი).

ამჟამად გიორგი თბილისში ვარჯიშობს. მას ეამაყება მშობლიური სამტრედია, რისთვისაც თავდაუზოგავად შრომობს, რათა კვლავ ასახელოს თავისი ქალაქი.

ლევან ბაგრაძე



სათანადო ვერ დაუფასეთ ავაგი

არადა, სამტრედიასა და სამტრედიელებზე უზომოდ იყო შეფერავებული ზემოიძვრელი კაცი, ბატონი გივი ვასილის ძე კვინიკაძე.

უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო, იქვე იმუშავა ერთხანს, შემდეგ კი, წლების მანძილზე გახლდათ სოფლის მეურნეობის სამმართველოს, აგროსამრეწველო გაერთიანების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი. იმ თვალსაზრისით მიღწევებში, რასაც რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები აღწევდნენ, დიდი იყო ბატონი გივის პირადი წვლილი. საოცრად მოერბა მცოდნე, პუნქტუალური, ობიექტური, საქმის ჩინებული მცოდნე, ახალბედა სპეციალისტთა გზამკვლევი, დამრიგებელი... ასეთი გახლდათ ბატონი გივი, ასეთივე დარჩა ჩვენი მეხსიერებაში.

საქმის ბრწყინვალე მცოდნე, ერთგული მეგობარი, ტრადიციული ქართული ოჯახის თავკაცი იყო ბატონი გივი კვინიკაძე, მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისა არა მარტო ოჯახისთვის, საზოგადოებისა და კოლეგებისათვის. საიმედოებით ვიხსენებ მასთან მუშაობის წლებს. ნათელში იყოს. — ასე იფიქრებს ბატონი გივის რაიონში ცნობილი პიროვნება, ბატონი სამსონ აბაშიძე.

ერთი წლის წინ გარდაცვილია, სამწუხაროდ, ვერ შევიტყვევეთ, ვერ გავაცვილეთ უკანასკნელ გზაზე, ვერ დაუფასეთ სათანადოდ ამაგი ღირსეულ ქართველს.

წლებს შემდეგ, როცა რაიონის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი აღადგინეს მოიფრინებინა, სინანულით გაიხსენებენ ბატონი გივი კვინიკაძესაც, კაცს რომელსაც სიღარბისლით ცნობდნენ და აფასებდნენ.

ნათელში იყავით, ბატონო გივი!



ლევან ბაგრატიანი

გზაღვაწლიანი

5 წლის წინ, გაზეთის 80 წლის საიუბილეო საღამოზე, დამსწრეთა შორის ის ყველაზე უფროსი გახლდა.

ჩვეული შემართებით, მხნედ გამოიყურებოდა 90 წლის ალექსანდრე ნადირაძე მაშინ. ის ჩვენი უფროსი მეგობარი, ბევრის მნახველი, დეპარტამენტის კაცი იყო.

ვანის რაიონში დაიბადა. უმაღლესი განათლება რომ მიიღო, სრულიად ახალგაზრდა აფხაზეთში, გულაუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ დანიშნეს. აფხაზ მძებთან მუშაობა არ გასჭირვებია. მომდევნო წლებში მშობლიურ ვანის რაიონში იმუშავა, იყო სკოლის დირექტორი, რაიონის მდივანი, გაზეთის რედაქტორი, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე და ა. შ. პენსიაში გასვლამდე ბატონი ალექსანდრე ვანის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლას ედგა სათავეში.

მრავალად არიან საქართველოში მისი აღზრდილები, შორეულ ისრაელშიც არაერთი ვანელი ებრაელი იფრინებს მათთვის დაუფიქრებლად ალექსანდრე მასწავლებელს.

“სამტრედიის მაცნეს” რედაქციის თანამშრომელთა უფროს თაობას ჯერ კიდევ ვანში მუშაობისას იცნობდა, როცა სამტრედიამ მისი ოჯახი საცხოვრებლად ჩამოვიდა, ნაცნობობა ახლობლობაში გადაიზარდა და... “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია, ვეტერანთა რაიონული კავშირი, ამ ორგანიზაციებში ყოველ დღით ერთგულად დადიოდა ბატონი ალექსანდრე და ყველასათვის სასურველ სტუმარს წარმოადგენდა.

წმინდად საუბრობდა საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებთან, ალიოშა მირცხულავასთან, კანდიდ ჩარკვიანიანთან, ცნობილ მეცნიერთან (ვანელ) კორნელი კეკელიძესთან ურთიერთობის დაუფიქრებლად ეპიზოდებზე.

საოცარი სითბოთი იფრინებდა უკვე დეპარტამენტის კაცი ბაბუას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს კალისტრატე ცინცაძეს.

სოლიდური ასაკის მიუხედავად 9 ათეულს მიღწეული კაცი ჭაბუკური ენერგიით იღვწოდა ახალგაზრდების აღზრდის სამსახურში. იგი სკოლა “ცოდნას” პედაგოგი გახლდათ, აქტიურად იყო ჩართული სამტრედიის რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არცთუ იშვიათად მისი წერილები “სამტრედიის მაცნეშიც” ქვეყნდებოდა.

დრომ მისი გაიტანა, არავინ შერჩენია სამუდამოდ წუთისოფელს და ბატონი ალექსანდრეც უადრესად ვალდებულნი ვართ განვიხილოთ მისი ღირსეული, ნაადრევად გარდაცვილი მეუღლესთან დაიღო სამუდამო ბინა, მშობლიურ ვანის რაიონში.

გაზეთის მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ მისი მოვლენა.



ლევან ბაგრატიანი

ხსოვნა იყოს!

რედაქციაში ხშირად გვსტუმრობდა, განსაკუთრებული ახლობლობა ჩვენს უფროს კოლეგასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელთან, ბატონ კორნელი ჩხილაძესთან აკავშირებდა, აჭარაში მე და კორნელი მუხომელოვი სოფლებში ვმუშაობდით სკოლების დირექტორად, იტყობა ხოლმე.

დამსახურებულ პენსიაში ბატონი კორნელის გასვლის შემდეგაც, რაღა თქმა უნდა, აგრძელებდა გაზეთთან თანამშრომლობას.

მოყვასის სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, ჰუმანიზმს ქადაგებდნენ მისი ციცქნა ლექსები, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა “სამტრედიის მაცნეში”. პროფესიით პედაგოგი გახლდათ ბატონი შოთა მინაშვილი.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, საქპრესის სააგენტოს უფროსად, სკოლის დირექტორად მუშაობისას ჩინებულად წარმოიჩინა მისი ორგანიზატორული ნიჭი, ადამიანური თვისებები.

ერთ დღესაც რედაქციაში მორიგი სტუმრობისას, უკვე ჩვენი უმცროსი კოლეგის, შოთაგო პაპაიას ნიჭიერების შესახებ რომ შეიტყო, მთხოვა, შინ მეწვეით ორივენი, ორივე კვირაში კი... სკოლაში, გაკვეთილზე უმტყუნა გულმა გულიან ქართველს, დეპარტამენტის პედაგოგს, მრავალი თაობის აღმზრდელს, ერთგულ მეუღლეს, საყვარელ მამას და ბაბუას.

ალალი ცრემლით დაიჭრა ოჯახში, ახლობლებში, მშობლიურმა სკოლამ. იმ სკოლამ, ათეული წლების მანძილზე რომ თავაკაცობდა და გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე გრანდიოზულად აღუნიშნა დაბადების 80 წლის იუბილე. საოცრად ბედნიერი იყო მაშინ ბატონი შოთა, მგონი დაეწაგრე სიკვდილით, მითხრა ახლად ნაოპერაციებმა...

85 წლის იუბილეს იხუმრებს ნოემბრის დასაწყისში “სამტრედიის მაცნე”. საიუბილეო დღეებში უკვეყლად გაიხსენებთ გაზეთის ერთგულ მეგობრებს, უფროსი თაობის ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენლებს, გაიხსენებთ ბატონ შოთა მინაშვილსაც, რომელსაც ამ დღეებში 85 წელი შეუსრულდებოდა.

ლევან ბაგრატიანი

როვნად ბარონის ხსოვნას!

გარდასულ დღეებს ღმერთი ჰპაატრონოს, ეს ყველაფერი არის წარსული, შენი სახელით, როლანდ ბატონო, მოგონებაა ყველა წასული. მრავალ შეჯიბრში გამარჯვებულსა სამტრედიამ გასურდა დარჩენა, სპორტული ჟინით გულანთებულსა სიღარბისლე გქონდა სამშენად. შენმა სიკვდილმა შეგვძრა სრულიად, უფალს ჰპარდება უფლის მსახური, ამიერიდან შენი სულია სულ სხვა სხეულში გარდასახული. ქართველთა აზრით — გარდაცვალება განზომილება არის სხვაგვარი, რაი განგებამ ასე იხება, ღვთის საუფლოში გენთოს ლამპარი.

შახვი ზანდარაძე
ლევან ბაგრატიანი

ამბავნარი

ლონდონში არსებობს მსოფლიოში ერთადერთი ბიბლიოთეკა, იგი მთლიანად ქალებისთვისაა განკუთვნილი. ბიბლიოთეკაში თავმოყრილია ცნობები ყველა დროისა და ყველა ხალხის ქალთა ცხოვრებასა, მოღვაწეობასა და მიღწევების შესახებ. ბიბლიოთეკა ქალთა მოძრაობის აქტივისტის მილიცენტა ფოსეტის სახელს ატარებს.

დასავლეთ ბერლინში 1979 წელს გაიხსნა წიგნის მაღაზია, სადაც მხოლოდ ის წიგნები იყიდება, რომლებიც ქალების დაწერილია, ქალებს ეხება, ან ქალებისთვისაა განკუთვნილი. მაღაზიასთან არის კაფეც, ასევე ქალებისათვის.

მსოფლიოში ყველაზე ვრცელია წიგნარი ოკეანე. აზიასა და ამერიკას შორის ყველაზე გზიერი ადგილზე იგი 17,5 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული. ოკეანეში არის ადგილები, სადაც ფსკერიდან ზედაპირამდე 8-10 კილომეტრია.

მსოფლიოში ესოდენ პოპულარული ყავა აბისინიელია მეჯოგეებმა აღმოაჩინეს, როცა მათმა თხებმა ყავის ფოთლები შეჭამეს და ღამე ვერ დაიძინეს. ეს ამბავი მეჯოგეებმა ახლომდებარე მონასტრის ბერებს უამბეს, რომელთაც ღამის თევისას მონასტრებში გადაწყვიტეს გამოეცადათ იგი საკუთარ თავზე. ეს მე-16 საუკუნეში მოხდა. ევროპაში კი, ყავა მე-17 საუკუნეში შემოიტანეს.

ამერიკელი დიანა უიტი მთელი ცხოვრების მანძილზე იზრდებდა თმებს, იგი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც ყველაზე გრძელი თმების პატრონი. 2 მეტრი და 60 სანტიმეტრი იყო მისი თმების სიგრძე.

ავსტრიელი სტომატოლოგების აზრით კბილის ტკივილს ყველაზე მეტად ცისფერთვალებიანები იტანენ, თავისისფერთვალებიანები კი — ყველაზე ძნელად.

ცხოველთაგან კურდღელმა ყველაზე ფხიზელი ძილი იცის, კაკასიურ ტურას კი ტყვეობიდან თავის დასასხნელად ფეხის, კუდის საკუთარი კბილებით გადაჭრა უპრობლემოდ შეუძლია.

შახვი ზანდარაძე

ლავრა (გაგა) ქაზინის გამოსახულება

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძია საზოგადოებისათვის. ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება გახლდათ ქალბატონი ლავრა (გაგა) ქაზინაძე, რომელიც ამ დღეებში მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

ქალბატონი ცაცა ჩვენი სკოლის გამორჩეული დირექტორი იყო. წლების განმავლობაში ყოფილი 24-ე სკოლის წარმატებები სწორედ მის ხელხმობასა და დაკავშირებულს. შესანიშნავი მეწვეკერი, დრამატიკული, დიდი პროფესიონალი, ძლიერი გონების მათემატიკოსი ერთნაირად უფვარდათ მოსწავლეებს, მშობლებს, კოლეგებს. ქალბატონი ცაცას დირექტორობის პერიოდში № 24 სკოლას გამორჩეულად იცნობდნენ რესპუბლიკაში.

ცაცა მასწავლებელი! თქვენ იყავით ყოველი ჩვენგანის დიდი მეგობარი ჭრისა და ღვინის, გულთან ახლოს მიგქონდათ ჩვენი მრავალრიცხოვანი კოლეგების სიხარულიც და მწუხარებაც. ვაჟაკურად ედგებოთ გვერდით ყველას.

სანიშნავი დირექტორი ასევე სანიშნავი ოჯახის მეუღლე, ღელა და ბებიაც გახლდათ. თქვენი დიდი და ლამაზი ოჯახი მუდამ იამაყებს თქვენით.

ჩვენი უფროსი მეგობარი, კეთილშობილი ქალბატონი, თქვენ იყავით ეტალონი თითოეული ჩვენგანისათვის და ასეთი დარჩებით მუდამ.

გემშვიდობებით სამტრედიის № 11 საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგი თქვენი სულის უკვდავსაყოფად.

სამტრედიის № 11 საჯარო სკოლა



გაზეთ “სამტრედიის მაცნე” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი ლავრა (გაგა) ქაზინაძე და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

თბილისი ბავშვთა

თითო ლაშა ტურნირიდან ტურნირაღამე

სამტრედიამო რომ ფეხბურთი უფრო და მეტი როგორ, ვიცით. გამონაკლისი გოგონა რომ არ იქნება, ცხადია, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს სოფელი განსაკუთრებით სპორტული ცხოვრებით ცხოვრობს. საფეხბურთო ტურნირიდან ტურნირაღამე მხოლოდ თითო ლაშა თუ ამორებით. თავად განსაკუთრებით მონათხოვნიან: გიორგი თევზაძის სახელობის ტურნირი დასრულდა და მეორე დღესვე სეზონიანი თევზაძის სახელობის ტურნირმა აიღო სტარტი. მისი ფინალი ობიექტური მიხედვის გამო, 28 აგვისტოს ნაცვლად 29-ში გაიმართა. იგი სამწუხარო იყო. 40 დღე შემოედგა ხელბურთიდან ნაკრების წევრის, კარგი სამტრედიელი ბიჭის, გიგა ნიკურაძის გარდაცვალებიდან. გოგონა მისი სახელობის ტურნირის დაარსებამდე ალაპარაკდნენ. იმ დღეს კი წყალიაირისა და მთისძირის გუნდები დაუპირისპირდნენ ფინალში ერთმანეთს. სეზონიანი თევზაძის უმცროსი ქალიშვილი და მისი ოჯახის ახლობლები ესწრებოდნენ მას. "მამა არ მასხვებს. ის რომ გარდაიცვალა, დედა ჩემზე ფეხმძიმედ იყო. ჩემი ორი უმცროსი და პატარები დარჩნენ. ყოველთვის, მაგრამ დღეს განსაკუთრებით მეამაყება მამაჩემის შვილობა." ამბობდა მისი ქალიშვილი სოფო თევზაძე.

სულ მალე, ტარიელ ჩანუას სახელობის ტურნირის წამოიწყებენ გომელები. თუმცა, მას შეიძლება რაიონული დატვირთვა მიეცეს ახლო მომავალში. მოვედით გოგო!

იმ დღეს კი, გიორგი თევზაძის სახელობის ტურნირის ბოლო, ფინალური თამაში იყო. იგი 10 დღის მანძილზე ტრავმულად დაღუპული ამ ახალგაზრდის მშობლიური სკოლის სტადიონზე მიმდინარეობდა. სოფლის პროგრამის ფარგლებში აღდგენილი ეს საფეხბურთო მოედანი, გახსნის დღიდან, სკოლის დამთავრების აღსანიშნავ ბავშვებზე დაღუპული გიორგი თევზაძის სახელს ატარებს. ამიტომ, ყოველთვის ამ სტადიონზე იმართება იგი და მონაწილეობას ახლობლები სოფლების გუნდები იღებენ. მოიკვებულნი თან კი გიორგის საფლავზე ააქეთ. წელს გამარჯვება მისი სოფლის, კორმალის გუნდს დარჩა. მან დაფინანსა ანგარიშით 3:0 დაამარცხა.

კარგად დაბნელებულზე სირბილით არბინებს აღმართი სასაფლაოსკენ

ახალგაზრდებმა და გულამოკარდნილებმა ხმაძალდა დაიძახეს ერთი საფლავის მარმარილოს ქვასთან: "მოვედით, გოგო!" იქ კი, შავ ქვაზე ამოტყუებული მომიღმარი სახე და გიორგი თევზაძის მამის ატრემლებული თვალები ელოდა შვილის შეგობრებს.

"შე გიორგის კლასის დამრიგებელი ვიყავი. ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, გიორგიმ ღირსეული კვალი დატოვა მეგობრებში. ეს ტურნირი მისი სიცოცხლის გაგრძელებაა..." აღნიშნა სკოლის დირექტორმა შორენა გიორგაძემ. გამგებლის წარმომადგენელი გომში ზანა ნიკოლეიშვილი აცხადებდა, რომ "ტურნირის ჩატარების ინიციატივა მოსახლეობიდან, ახალგაზრდებისგან მოდის. პირველ ადგილზე გასულ გუნდს 100, მეორეზე გასულს კი 50 ლარი ერგო. საპრობო ფონდი და მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მასშობრივი დეპუტატისგან გვექონდა."

მეორე დღეს კი სამაჩაბლოში დაღუპული სევერიანი თევზაძის სახელობის თასზე გამართულმა ტურნირმა აიღო სტარტი გომში, ნიკურაძეების უბანში. მასში 6 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალი 28 აგვისტოს, მის დაბადების დღეს რატომ არ გაიმართა, უკვე აღვნიშნეთ. ორივე ტურნირის ჩატარების იდეა წაუხილდა წარმოსვლა. ცოტა მწვლია ის ამბები, იმ თამაშებზე რომ ხდება, დიმილით არ მოჰყვებ. ამან გადაგვაწვევინა ამ წერილის ორად გაყოფა. ის, რაც უშუალოდ თამაშზე ხდება, მსუბუქად სასაუბრო თემაა.

ბურთი და უბურთობა გომში

ზაფხულის საღამო მთიდან მონახებმა ნიავმა ააგრილა თუ არა, სათამაშოდ ფინალში გასული კორმალისა და დაფინანსების გუნდები სტადიონზე შეხვდნენ ერთმანეთს. გულშემატკივარმაც მოიყარა თავი მქობილი სოფლებიდან. პოდა, თამაშზე დაიწყო, ისეთი, გომს და კორმალს რომ ეკადრებოდა. დიდი სტადიონების მსგავსად გულშემატკივრის შეძახილები არც აქაურ თამაშს აკლდა. თუმცა, თემატურად განსხვავებული ნამდვილია. "მაგ შხმატი კი არაა, ხელით რომ ეხები, დაარტყვი, ბიჭო, ფეხი; კარში დაარტყვი მა ბურთი, ნა-ზოიესკენ რო ურტყავ..." არ ცხრებოდა გულშემატკივარი. არც ფეხბურთელებმა დატოვეს უპასუხოდ "არ უნდა მაქედან პრეტენზიები, თამაშით ჩვენ ვთამაშობთ!"

სანამ სტადიონზე გაცხარებული ბრძოლა იყო პირველობისთვის, იქვე ჩამუხლულ ერთ ბატონს გავესაუბრეთ, განსაკუთრებით რომ გულშემატკივრებმა მითამაშებებს. თურმე იქ, მოედანზე, ერთ-ერთი მისი შვილიშვილი ყოფილა. საუბარი მასთან იმდროინდელი გავაბით, რომ სოფლის დეპუტატმა დავით ამალობელმა ძალიან საინტერესოდ დაგვიხატა, ყველა რეკოლეუციამო მიიღო მონაწილეობა, სოციალისტურის გარდა. პოდა, იქვე ჩამოუვყვები და ბატონმა კვამ, მას ყველა ასე ეხატის და პირადობის მონაცემებით არც ჩვენ დავიზრდებოდნენ. საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებები გავკვირდით: "უიშე დედა, მომკალით ვინცნამ, ჩემთან გინდათ საუბარი? ვენაცვალე გამსახურდას სულს, ის იყო ჩემი პრეზიდენტი. მის მეფე იმას ვამდე ხმას, ვინც მაწყობს. კარგი დრო მაშინ დედა ქვეყანასაც და მეც, რუსეთში რომ დავდიოდით და არც ფული გვაკლდა და არც გოგოები." ისიც მოგვიყვა წყალიაირში (სოფელია ასეთი გომის თემში) როგორ გადაკონცა ყოფილი პირველი ლედი! აბა, ეს პატივი მხოლოდ კვამს ერგო გომში მისი სტუმრობისას და როგორ არ იამაყოს ამით! ესეც კვამ და... მასთან საუბარში ისე გავერთეთ, აქაურ ფეხბურთელებს რომ ვერ გაუძლო და ბურთი რომ გასცდა, გამოგვეპარა კიდევ. ვიღაც ცუდი ფეხის ხართ ჩამოსულებიდან, თორემ 20 თამაში ითამაშა ამ ბურთის და არაფერი მოსვლიათ. - შემოვკვიდით ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ხუმრობაზე, სოფ-

ლის მხარდაჭერის პროგრამით მაინც გვეიდათ ერთი ბურთი-თქო, რომ შევხედოთ გომის თემში გამგებლის წარმომადგენელს. შურნალისტებს ხუმრობაზე ხუმრობითვე გვიპასუხა გომის დეპუტატმა დავით ამალობელმა; ერთადერთი პრობლემა უბურთობა გომში და მაგასაც მოუვლეთო. მეფე, როგორც თავად გვითხრა, "ზარი ახლობლებთან" განხორციელა და საკუთარი შევილის ბურთი შეამკვლა ფეხბურთელებს ვინ თევზაძემ, თუმცა, უკვე იგი საჭირო აღარ გახდა. თამაში განახლდა და არც შურნალისტები დაგვსა უქმად მაყურებელმა. აქედან გადავიღე ჩვენცო, შემოუბანეს ოპერატორს. ფოტოკადრებისთვისაც გაიპარანუნენ აქეთ-იქეთ. თუმცა, გომში ჩასულს უქმად რა დაგვავს და გამორჩეული ენკვიმატობით ნათქვამი ყოველი ფრაზის დამახსოვრებას ცდილობდით. სანამ ტელევიზიის ოპერატორი გიგა ნადირაძე ღობეზე შემოქადარი თამაშს იღებდა, საინფორმაციო ცენტრის შურნალისტს, ნათია იობაძეს, ღობესთან მომდგარი ქალბატონების დანახვისას, უკვე სულ რომ არ წუხდნენ, ვინ მოსთვლის, მერამდღევე ყანაში გადავარდნილ ბურთს, "პირველი მერცხალიდან" გაახსენდა ფრაზები: "ამათ შემხედვარე კრუბი ვერ დაეჯიხე ბუდეზე და ნახური ვერ გავახარე"ო.

თამაში კორმალელების გამარჯვებით 3:0 დასრულდა. თასი, გამარჯვებული გუნდის კაპიტანს, ეშზარ ჯოჯუას ვალერი ფოცხვერიამ გადასცა. ფეხბურთზე და განსაკუთრებით მადრიდის "რეალზე" შეყვარებულმა გამგებელმა კითხვაზე, ერთმანეთს რომ შეხვდნენ, კორმალას უგულუმეტაკიერებდით თუ რეალს-თქო, დაუფიქრებლად კორმალის ფანობა ირჩია. ტურნირის ორგანიზაციის კი, აი, რა თქვა: "ყოველთვის დაეუკუერთი მხარის ახალგაზრდების ამგვარ ინიციატივებს და აქტიურობებს. ეს ტურნირი ახალგაზრდა კაცის ხსონას ეძღვნება და ჩვენც პატივს მივაგებთ მას. რაც შეეხება სოფელს, ხედავთ, რომ წინა წლებთან შედარებით ბევრი რამაა მოწესრიგებული. შრომის კვალდაკვალ გართობა კი აუცილებელიცაა."

გამგებლის გარდა იმ დღეს გომის თემს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მიხეილ ლეკუაძეც სტუმრობდა.

"განსაკუთრებით გვიხარია, რომ დღეს ეს თასი გომში დარჩა. კულოცავე ყველას ამ გამარჯვებას!" გვითხრა ეშზარ ჯოჯუამ მატჩის შემდეგ.

ამ წერილში არსენას დავიწყება, ნამდვილად არ შეიძლება. არსენ თავაძე გომის თემში სპეციალისტად მუშაობს. ყველას მარჯვენა ხელი იგია. იმ დღესაც, "არსენა წყალი" - და არსენას ცივი წყალიც და ღიმონაიციც მზად ჰქონდა. მეფე ელექტრონული პრობლემების გამო დაურეკეს, გვეც - არსენ ღმინი. კიდევ ვიღაცას გაახსენდა და გზის ირგვლივ ჰკითხა, პოდა, არსენა გზაც! ამ დროს გოლი გაიტანა კორმალამ და უსახლვრო იყო არსენას სიხარული. ერთი სიტყვით, კიდევ კარგი, რომ გომს არსენ თავაძე ჰყავს.

უკვე აღვნიშნეთ, ტურნირიდან ტურნირის ერთი დამე ამორებს-თქო და აი, მეორე დღეს გათენდა სევერიანი თევზაძის სახელობის ტურნირის დასაწყებად. გომის საჯარო სკოლის სტადიონზე ამჯერადაც შეიკრია გულშემატკივარი. აქაურობის მკვიდრმა, გამგებობის აპარატის უფროსმა, ბეჟან გვეგვიძემ ის წლები მოიგონა, ამ სკოლის ენოში ხუბები რომ დარგო თანაკლასელებთან ერთად. ახლა ხმაძალდა მოშირალე ჭადრები და ნაძვები, თურმე 35 წლის წინანდელნი ყოფილან. "ირგვლივ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ "სხვა ხალხის იმისი აქ შრამული" - გვითხრა მან. სოფლის დეპუტატი დავით ამალობელი და სკოლის დირექტორი მაყვალა არაბაძე თითქმის დაღლილ სოფელზე სწუხდნენ. ახლა 150 მოსწავლე ჰყავს სკოლას, როცა 400 და მეტი ჰყოლიათ. აღრე ორი-სამი პარალელი ამთავრებდა სკოლას და ასევე იყო პირველ კლასშიც. წელს კი 14 ბავშვმა დაასრულა იგი და 10-12 პირველკლასელს ელოდებიან. ისიც ახსოვთ, გომში ყოველწლიურად 80 ბავშვი რომ იბადებოდა საშუალო მასშტაბებით, ახლა კი...

ასეა თუ ისე, სიცოცხლე გრძელდება სოფელში. სტადიონზე ცეცხლი დაანთეს ფეხბურთელებმა. ვერც უცერად წამოსულმა ზაფხულის გეგავაში ნანატრმა წვიმამ შეამშინა მოთამაშეები და გულშემატკივარი. პირველ თამაშში ამ ტურნირზე მეგობრობამ გაიმარჯვა და გომისა და კორმალის გუნდებს შორის მატჩი ანგარიშით 3:3 დასრულდა. ტურნირი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. მუნიციპალიტეტის გამგებელი იმ დღესაც სტუმრობდა გომს და სწორედ აქ ივარაუდა, რომ ტარიელ ჩანუას სახელობის მომდევნო ტურნირის, რომელიც გომში უნდა გაიმართოს, ამ ადამიანის სამტრედიელი ფეხბურთის წინაშე დამსახურების გამო რაიონული მასშტაბები უნდა მიეცეს.

სევერიანი თევზაძის ტურნირის საფინალო მატჩი ანგარიშით 5:2 წყალიაირის გამარჯვებით დასრულდა. შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალური დონე სამოკავარელო ტურნირებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი იყო. რამდენიმე მოთამაშემ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. ერთ-ერთი მათგანია სსს განსაკუთრებით დაინტერესდა. გომში სტუმრად მყოფი სამტრედიის "ლოკომოტივისა" და თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, საკრებულოს წევრი, ტარიელ დვალიშვილი: "როგორც კი მიიღო, მაშინვე მიხვდი, რომ ბურთი იცოდა! მივესალმები ამგვარი ტურნირების ჩატარებას. მსოფლიო საფეხბურთო ისტორიამ ბევრი შემთხვევა იცის ქუჩის ფეხბურთიდან დიდი ფეხბურთის მოთამაშის დადგომისა. სსს, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი რომ მიიღო, თავისუფლად შეუძლია პირველი ლიგის გუნდებში ითამაშოს." ამგვარი შეფასება იქნებ გასათვალისწინებელი მისთვის იყო სამტრედიის "სამტრედიას" ხელმძღვანელობისთვის, რომელსაც ხშირად საუკულებობენ, რომ აღვივლონ ფეხბურთელებით არ არის დაკომპლექტებული.



გულოცავთ!
ბატონ ნოზარ ჯაფარიას!
 დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
"საბარაოსი მაცნე"

ბატონ ზანა აღვიშვილს!
 გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა გაგაძლიეროს!
"საბარაოსი მაცნე"

ბატონ ნოზარ ჯაფარიას!
 გილოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა დაგლოცოს!
ბატონ ზანა აღვიშვილს!
 დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იღვგრძელოთ!
კვებანთა რაიონული კამპინი

ანდრია წოყაშვილს!
 2 წელი 2 სექტემბერს! გილოცავთ ოქროს დაბადების დღეს ოქროსკულულებიან ვარსკვლავებუნას. ბედნიერება და სიხარული დაეხედოს. კარგ კაცად, კარგ მამულიშვილად გაზრდეთ მშობლებს და ქვეყნას.
"საბარაოსი მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედიო, რისაუპლიოს ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიო
 დირექტორი **ბექან გოგია**
 მთავარი რედაქტორი **ქაიხაძე ჯემალ**
 გამომშვები რედაქტორი **თბილისი ბავშვთა**
 პასუხისმგებელი მდივანი **ლევან ბაბქაძე**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა **მამა პაპაძე**